

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნიტი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 92

2020



მთ. რედაქტორი

## მშრან ბეჭედიმი

მხატვარი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-899-1 (92 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინისა“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშენების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშენების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშენების 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშენების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...


კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი





„გულივან შესვლი ყოველ ქაბას, ყოველ ძაბაბას.“

ა. პუშკინი

### წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

უნდა დავუბრუნდეთ საკითხს, რა როლს ასრულებს ლექსში სულიერი „ბირთვი“? იქნებ ეს ის ჭეშმარიტი რეალობაა, რომელსაც ანრი ბერგ სონისა და ბენდიტო კროჩეს შეხედულებით „მხოლოდ ინტუიცია, ე. ი. უშალო გრძნობადი ხილვა წვდება“ ხოლმე? მაგრამ რეალობის ჩვენებას ეს მეცნიერები პოეზიაში მთლიანად გამორიცხავენ. ისინი ამბობენ, რომ პოეზია სხვაა და „უბრალო ლიტერატურულიობა“ – სხვა, „უბრალო ლიტერატურულობას“ ისინი მიაკუთვნებენ, არა მარტო მხატვრულ პროზას, არაედ თვით ლექსის თხრობით ნაწილსაც.

დავეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას, ეს ჩვენი საქმეა, მაგრამ მათი უბრალო გეერდის ავლა არ ეგების. ამიტომ, ვიმეორებ, ბატონ აკაკი თოფურიას მოსაზრებებს, ისევე, როგორც სხვა მწერლებისა და მეცნიერების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, რომლის შესახებაც ქვემოთ ვიღლაპარაკებთ, ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით, მაგრამ არ მიგვაჩნია ის საკმაო მასალად ვაჟა ეგრისელის შემოქმედების ცოტად თუ ბევრად სრული ჩეგნებისათვის, რაც ჩვენ ამოცანად დავისახეთ.



პროფესორი აკაკი თოფურია თავად აღნიშნავს, „მხოლოდ გაკვრით, მის (ვაჟა ეგრისელის – პ.. მ.) პოეზიის ზოგად ასპექტებზე შევჩერდებიო“ და „გზას ვუთმობ“ სხვებს მისი დეტალური კალევისათვისო და განაგრძობს: „როცა ტრადიციულ ქანრობრივი ფორმებში რაღაც ახალი ელემენტი იჭრება, როცა იგი ცალკეულ შემთხვევითობიდან, დისონანსური გამოვლინებებიდან იქცევა სიახლეთა სიახლის მთლიან გამოხატულებად და ერთულდებიდან ათასზე მეტ ნიმუშამდე აღწევს, უკვე საქმე გვაქვს პოეტური ენერგიის შემოქმედებითი წიაღისეული „წყაროებიდან“ მჩქეფარე შადრევანის ამოფრქვევასთან. მის დინებას ვერ შეაჩერებს კლასიკური ვერსიფიკაციის ვერავითარი დრომოქმული არტახები, იგი თვითონ გაარღვევს გზას საკუთარი მწვერავალებისაკენ, თვით შექმნის საფუძველს შესაყიდვისი ვერსიფიკაციული ნორმების მოსარგებად“.

ჩემი კითარა დაობლდება

სამარადისოდ,

ქარებს გაჲყვება, –

დღენი ჩემი, როგორც ტიარა,

წუთისოფელი როს ამიკრავს

ნაბადს და გუდას

და გადამკარგაგს...

მაშინ, მმებო!

სხვაგან კი არა,

სსოფნის სანთლებით –



ჩემს თბილისში მექებეთ მუდამ.

საჭირო კია, მაგრამ, აბა, მიბრძანეთ, რა ვერსი-ფიკაციული საზომით შევძლებთ ჩვენ ამ ლექსის მი-ერ შემოტანილ სიახლეთა წვდომას? აქ ერთადაა თავმოყრილი როგორც ვერსიფიკაციული, ასევე სა-ხეობრივი, ინტუიტიური, ემოციური და სხვა მხარეე-ბი.

ნეოთიმიზმი (ჟ. არიტენი) პოეზიის რაობის სა-კითხს უბრალოდ წყვეტს: პოეზიაში მხატვრული ნი-ჭი ვლინდება, რაც ღვთაებრივი საიდუმლოებააო, იგი ქვეცნობიერი რამ არისო, საკუთარი „მე“-ს ბნე-ლი წვდომააო, მას ობიექტი არა აქვსო.


მოდი და ედავე ასეთ ადამიანებს! ათასი მაგა-ლითოთ დაგიმტკიცებენ თავის სიმართლეს, მაგრამ მასში ვერ დაგაჯერებენ.

ასევე ვერ დაგიჯერებ მე, ჩემო საყვარელო მკითხველო, ვერაფერში, თუ უფრო ღრმად, ფარ-თოდ, მასშიბაბურად, ყოველმხრივ არ მოვიკვლის ვა-ჟა ეგრისელის პოეზიის თავისებურებათა არსი და მიზეზები.

ესაა ჩემი განზრახვა.

ამ განზრახვამდე თვით ვაჟა ეგრისელის პოეზი-ის გაცნობამ მიმიყვანა და ის გახდა წიგნის დაწე-რის სტიმულიცა და მოტივიც.

რამდენად შევძლი განაზრახის სისრულეში მოყვანა, ეს თვითონ განსაჯეთ, ერთმანეთს უთხა-





რით, მე კი ნუ გამიმხელო, რამეთუ კაცისათვის წყე-  
ნაცა და სიხარულიც ერთანირად მავნეა.

## 0120 მეორე

### 0120 უდია მოგანე შუბზე

ვკითხულობ ვაჟა ეგრისელის ლქსებს.

.... დაისი დაილია. მიდამოს შავ-მონაცრისფრო  
სიჩუმე დაეუფლა. უხმაურო საპაერო ეტლში ვზივარ  
(ზღაპრულ ნოხზე) და მილიონიანი ქალაქის სახლე-  
ბის სახურავებთან დავფრინავ – ვუსმინო და ვუყუ-  
რადო მწუხრის შუქჩრდილებს. ფართო მაგისტრალ-  
ზე მოდიან მანქანები, ათასფერადი მდინარესავით  
მოედინებიან. შუქნიშანთან ზღვასავით შედდებიან  
და შედგებიან.

აი, გამოსრიალდა ერთი ლამაზი მანქანა, სახუ-  
რავზე ნათურა რომ უპარპალებს. არღვევს ზღვას და  
შუქნიშანთან წამით ყოვნდება. ბუბუნებს: „იარონ! ია-  
რონ! იარონ!“

შუქნიშანი მყისევე იღება და მიმავალს დიმილს  
მიაყოლებს: ქალაქში ხმაური არ შეიძლება, მაგრამ  
შენ ხომ მუხრანი ხარ, მაჭავარიანი! გასწი, იბუხუნგ!

აგერ, მეორე მანქანა გამოსრიალდა, გასჭრა  
მანქანების ზღვა და შუქნიშანსაც არ შეეპუა: „ჩემ-  
თვის სიტყვაა და მხოლოდ სიტყვა თოფიც, მიზანიც,,  
ნანადირევიც!“



განიხვნა შუქნიშანი წამსვე და მიმავალს მიპღო-  
მილა: მაგ სიტყვით აზრისა და სიბრძნის სიკაშვაშე  
მიგაძებს, შოთა ხარ შენ, ნიშნიანიძე! გასწი, იკაშვა-  
შე!

კვლავ მიარღვევს მორევს შუქმოციმციმე ლა-  
მაზი მანქანა და შუქნიშანთან ისმის: „ოდესდაც დი-  
დი ყოფილა საქართველო!“

შუქნიშანი იდება და იღიმება: „ოუ ოდესმე იყო  
დიდი, „ოდესდაც ალბათ ისევ დიდი იქნება საქარ-  
თველო!“ გიცანი, მურმანი ხარ შენ, ლებანიძე! გას-  
წი, იარე!

ისევ არღვევს მორევს შუქმოციმციმე ლამაზი  
მანქანა და შუქნიშანთან ამბობს პაროლს: „აპა, მეც  
მოველ, და ნაბიჯით ერთით მასწრებენ კოჭლი თუ-  
მური, ბუდა თურქი...“

მყისვე უჩვენებს შეუქნიშანი მწვანე ფერს: იარე,  
ვაჟა ეგრისელო! იარე, წამოეწიე და დალახვრე მტე-  
რი საქართველოსი!“

თითქოს სპეცდანიშნულებისანი არიან ეს პოე-  
ტები და მათი შეკავება არავითარ შუქნიშანს არ შე-  
უძლია. დროზე უნდა მივიდნენ ისინი იქ, სადაც  
ელიან.

და როგორ ელის მავანთა და მავანთა ტრამტა-  
რარამპოეზით თავაბრუებული ქართველი მკითხვე-  
ლი ნამდვილ ლექსს, ო, როგორ ელის! ზოგიერიი  
მათგანის (პოეტია თუ არა, დმერთმა უწყის) პორ-  
ტრეტებს უფრო იმასხოვრებენ კარგ ლექსს მონატ-



რებული ქართველი მკითხველები, გაზეობიდან და  
ტელეეკრანებიდან ყოველდღე რომ იჭყიტებიან,  
ლექსს კი – ვერა.

ვაჟა ეგრისელის ლექსები ლამაზ ყდებში არიან  
თავშეფარებულნი, გაზეობიდან და ტელეეკრანები-  
დან მათი ავტორი იშვიათად თუ რომელიმეს წამო-  
აფრენს.

მაგრამ, ალბათ, ეს დროებითი მოვლენაა. მე  
ასე მჯერა, რომ ისინი წიგნების ყდებს ამოარდვევენ  
და ლადად ინაგარდებენ.

აბა, როგორ უნდა გასძლოს წიგნში შეუშულმა  
ამ ლექსმა:

... და ეპარება....  
ეპარება მაღალ სამყაროს  
ჩვენი სიცოცხლის შორი ციმციმი,  
მაგრამ უამს უნდა

დაბლა დახაროს –  
ყოველდღიურ ფიქრთა სიმძიმით.

აქ პოეტმა თითქოს ერთ მუჭაში დატია ტომას  
პარდის „ტეს დ’ებრელვილი“ და დემოსთენესებური  
სისადაგით წარმოაჩინა ცხოვრებისეული სიბრძნე,  
რომელსაც ყველა კარგად ვხედებით, თავიდან ვერ  
ვიშორებთ ისევე, როგორც მსოფლიო მიზიდულობას,  
მაგრამ პირებლწყაროს ვერ ვუძებნით თვინიერ მინო-  
რული ამოკვნესისა – ო, ღმერთო!

მართლაცდა, როგორ ვეპარებით და ვეპარებით  
მაღალ სამყაროს (ღმერთს) „ჩვენი სიცოცხლის შო-



რი ციმციმით“, სულ ზევით და ზევით, ზოგჯერ ვერ-  
მისაწვდომ სიმაღლეებზე მყოფ საიდუმლოებებს შე-  
ვიცნობთ ხოლმე და გვინდა მამაზეციერივით ყოვ-  
ლისმხილველნი და ყოვლისშემძლენი ვიყოთ. მაგრამ  
ადამიანი დმერთად ვერასოდეს ვერ იქცევა და უამი  
ძირს გვეწევა „ყოველდღიურ ფიქრთა სიმძიმით“.

თურმე ფიქრებსაც ჩვენსას დედამიწი მიზიდუ-  
ლობის ძალა ექაჩება ძირს, რომ მაგრად ჩაგვახუ-  
ტოს შემქმნელსა და შემნახველს ჩვენსას. ამიტომაა,  
რომ ჩვენს ლტოლვას დმერთის საუფლოსაკენ ახდო-  
მა არ უწერია.

ზემოთ სიტყვა მინორული ვახსენე. არ ვიცი,  
ლინგვისტები (კაზბული სიტყვის ოსტატებიც) დამო-  
დასტურებენ თუ არა, მაგრამ, რომ არსებობენ მაჟო-  
რული და მინორული ლექსები, უეჭველია და არ შე-  
იძლება ისინი ერთმანეთისაგან არ განვასხვაოთ.  
ორივე რომ თანაბარი უფლებებით არსებობენ, ეს  
უდავოა. უფლებები თანაბარი აქვთ, მაგრამ ძალით  
ხან ერთით ჩაგრავს მეორეს, ხანაც მეორე – პირ-  
ველს. უფრო ხშირად ერთი უდლის ქვეშ შეწყვილუ-  
ბული თანაბარი ძალის ხარებივით მხარდახარ მია-  
ბიჯებენ და მიაქვთ დიდი საზიდარი. თუ გალაკტიო-  
ნის მაჟორული „დროშები ჩქარა!“ და აკაკის მინო-  
რული „თავო ჩქმო“ ერთმანეთს ხან აღმართში უს-  
წრებენ, ხან დაღმართში (მხედველბოაში მაქვს  
ეროვნული აღმავლობისა და დეპრესიის ურთიერ-  
თმონაცვლეობა), ილიას „მოვიკლათ წარსულ დრო-



ებზე დარდი“ და ტერენტი გრანელის „წმინდათ  
ლმერთო, რად გამაჩინე“, მე მგონია, ერთმანეთის  
გასწრებას გულში ფიქრადაც არ გაივლებენ.

ასევე მინდა ერთმანეთის გვერდიგვერდ დავაყე-  
ნო ბუნების სურათების წარმოჩენი ლექსები, შაირის  
რომელი ფორმითაც უნდა იყოს ის შესრულებული,  
მაჟორული თუ მინორულით.

### გრიგოლ ორბელიანი

გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი

სიძ-

წვანიოთ

მთებისა კალთებს შეამკობს სიტბო სურნელთა  
მოვენიოთ,

წყალნი მთით დაქანებულნი ალმასებრ

უფსკრულს ცვივი-  
ან,

თერგი პრბის, თერგი დრიალებს, კლდენი ბანს  
ეუბნებიან.

### გაჟა-ფშაველა:

ცაზე ჰყვავიან ლრუბელნი,  
მზის სხივებს ჰსვაენ დილითა.  
მთებს აუხსნიათ პირბადე  
შვილებით, შვილიშვილითა,



გულგრილად იცქირებიან  
გაუმაძღარნი ძილითა.

### გაჟა ეგრისელი:

ხელდაკრეფილი დგანან ხეები,  
უხმოდ,  
უსიტყვოდ  
უცხადებენ  
სამძიმარს ერთურთს,  
აურჟოლებს ტყესაც, –  
ჩამქრალ კერასთან ზის გლეხი და  
ვეება ნაჯახს  
რიყის თეორ ქვაზე  
ლესავს და ლესავს.

ადვილია გასარჩევია, რომ მოტანილ ლექსებში გრიგოლ ორბელიანი და ვაჟა-ფშაველა მაჟორული ხმით გველაპარეკებიან, ვაჟა ეგრისელი – მინორულით, პოეტურ სახეებს კი ერთნაირი სიმძაფრით წარმოაჩენენ.

მინორულს რომ ვაბობ, ხედველობაში მაქვს სევდიან ტონალობაში ჩამოყალიბება სათქმელისა, სიმღერისა, ფერწერულად წარმოსახვისა.

ვაჟა ეგრისელის პოეზია მკითხველს იქნებ მოჭარბებულად მინორული მოეჩვენოს და ამაშია მისი მძაფრი ზემოქმედების ერთ-ერთი საიდუმლოც მსოფლიო პოეტური და მუსიკალური ხეოგნების, ფოლ-



კლორის შედევრთა უმრავლესობა ხომ ადამიანური ტკივილების, სულის წუხილის წარმოსახვა! ამ მხრივ ვაჟა ეგრისელის პოეზია პოეტური ხელოვნებისა და ფოლკლორის მაგისტრალურ ხაზზე დგას. ამ ხაზს არ ასცდებია ტერენტი გრანელის პოეზიაც, რომელსაც იგი თითქოსდა ენათესავება. მაგრამ ჩემის აზრით, ეს ძალიან შორეული ნათესაობა უნდა იყოს, თუ საერთოდ არის ნათესაობა. თითქოს თვით ნათ საური გენი შეიცვლაო. მართლაცდა, თუ ტერენტი გრანელი სევდის ბრჭყალებშია მთლიანად მოქცეული და მისტიციზმს ვერსაით გაექცევა, ვაჟა ეგრისელისათვის ერთიც უცხოა და მეორეც, ის ერთზედაც მაღლა დგას და მეორეზედაც. ის, რაც ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სევდანარევია, ასეთივე დოზით შეგვიძლია ადმოვაჩინოთ ულტრარევოლუციონერის გასტონ მონმუსონს, სიცილის მეფის არისტოფანეს და მაჟორული მუსიკის ჯადოქრის პაბლო სარასაბრეს შემოქმედებაშიც.

რაც არ უნდა სევდიან ტონებში იყოს შესრულებული ვაჟა ეგრისელის ლექსი, მასში მაინც გამოსჭივის საკმაო ნათლის შუქი.

პირს შეიმშრალებს ცისარტყელა ქათქათა  
დრუბლის

სველ პირსახოცზე დ ყურს უგდებს  
ტალღების წუხილს.

რექვიემივით წარსულიდან მოისმის  
„ბატა“.



მოწყენილ ციდან სიზმარივით ჩამოდის  
მწუხერი,

ზღვა მოლბერტია,

უხილავი,

ქარიშხალს ხატავს.

აქ კველაფერი: ტალღების წუხილიც, რექვიემი  
ვით წარსულიდან მომსკდარი „ბატაც“ და მოწყენილ  
ციდან სიზმარივით ჩამოსული მწუხერიც, რაც მომა-  
ვალი ქარიშხალის წინამორბედია, ნაწვენებია ცისარ-  
ტყელისა და ქათქათა ლრუბლის ფონზე და მკით-  
ხველში დეპრესიას კი არა, რაღაც თბილ გრძნობებს  
აღძრავს.

ასეთსავე თბილ გრძნობებს აღძრავს ვაჟა ეგრი-  
სელის მიერ დახატული სოფლის თითქოსდა მწუხე-  
რე სურათი:

სილურჯესა და სიანკარეს წუხს ხობისწყალი  
და მთების დარდებს

ზღვისკენ მიათრევს...

მწუხერი შორს ჩანდა,

მაგრამ მაინც

უცებ შებინდდა.

და აი, ახლა, ციცინათელას დაჭრილ

ფრთებიდან

წვეთვს და წვეთავს ლურჯი სინათლე.

ნამდვილი პოეტური ოსტატობაა საჭირო, რომ  
ასეთ, თითქოსდა ნაღვლიან თხრობაში მკითხველი  
დიდ სიტკოსა და სითბოს აზირო, მკითხველი



გრძნობს, რომ სილურჯე და სიანკარე კი არ აწუ-  
ხებს, არამედ ახარებს ხობისწყალს, რომელსაც  
ზღვისაკენ მთების დარდები კი არა, მთებური სისპე-  
ტაკე მიაქვს, რამაც მას სილურჯე და სიანკარე მის-  
ცა.

მკითხველი სასიამოდ აღიქვამს ლექსის ფინალ-  
საც.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიტანე, რომ სათქმე-  
ლის მინორულ ტონებში სასიამოვნოდ შესაგრძნობი  
სინატლის შეგანა ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთ-ერ-  
თი მახასიათებელია. ვაჟა ეგრისელი სოფლის მწუ-  
ხარე სურათებსაც ნათელ სხივებში აღიქვამს და  
მკითხველს სულს უცისკროვნებს, ხოლო, რაც შეე-  
ხება იგივე სამყაროს მომდიმარე სურათებს, ის მის  
პოეზიაში არაფრით არ იძინდება და სრული სიდია-  
დით წარმოჩინდება.

ასეა წარმოჩენილი ვაჟა ეგრისელის პოეზიაში  
სამშობლოს სამსხვერპლოზე დაცემული მამულიშვი-  
ლების სახეები, საქართველოს ისტორიული ადგილე-  
ბი, სადაც ყველანი მოვალე ვართ შევდგეთ და  
ლოცვა აღვავლინოთ. პოეტი ლოცვას აღავლენს ყო-  
ველი ციხე-სიმაგრის ხილვისას, ყველა დირსეული  
მამულიშვილის გახსენებისას და აგიყოლიებს, შენც  
მასთან ერთად ილოცო. წმინდაა ეს ლოცვა, მიმნდო-  
ბი და ნუგეშისმცემელია იგი. ამიტომ, საქმარისია,  
ვაჟა ეგრისელის წიგნი გადასშალო, ორი-სამი ლექ-



სი წაიკითხო, რომ ვედარ მოსცილდე მას, სანამ ბოლომდე არ ჩაათავებ.

ვაჟა ეგრისელმა ლექსად თხრობის თავისებური საზომი, თავისებური ფორმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში. სხვათა ენებზე არის ლექსწყობის განსაკუთრებული ფორმები (ტანკა, რობაი და სხვა), რომელთაც ვაჟა ეგრისელის ლექსები არ მიემსგავსება, იგი გენეტიკურად ქართული ლექსია, მაგრამ შინაგანად განსხვავებულია, ამიტომ იქნება ამ განსხვავებულობის გამოსახატავი რამ ტერმინი მოგვენახა ქართულ სიტყვის კონაში?

ამ საკითხზე მოგივწევს უფრო დაწვრილებით შეჩერება, ახლა კი ზოგადი მოსაზრებებით დაკმაყოფილდეთ.

ჩემის აზრით, ლექსის ეს თავისებური ფორმაც (აზრის შეკუმშულად გადმოცემა, მხატვრული სახის მოულოდნელი მკაფიო წარმოჩინება) აიძულებს მკითხველს ერთი ლექსიდან მეორეზე იყოს, თითქოს ძვირფას ქვებსა პკრეფდეს და ერთმანეთზე კრიალოსანივით აცვამდეს.

სხვა რამეც გამოარჩევს ვაჟა ეგრისელის პოეზიას. ესაა გალაკტიონისებური სიტყვათა უწვეულო შეწყვილება. „სანდომიანი ცა“, „თვალთა კვდომა“, „ლოცვა განუკურნელი“ მყისევ მიგახვდოებს, რომ აქ გალაკტიონია. ასევე გამოიცნობა ვაჟა ეგრისელი, როცა კითხულობ: „უშქარი სიხარული“, „ადიდებუ-



ლი ყივილი“, „შიშველი ელვა“, „სილურჯეს იღიმის“, „ტოტი ფიქრის“.

ძნელია იღიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის შემდეგ სამშობლოს სიყვარულზე გამორჩეული სიტყვა თქვა. ახერხებენ მაინც ამას პოეტები და ვაჟა ეგრისელიც ახერხებს:

ჩემს ყევარ ბიჭებს, —

ზურაბ და დაჩი, —

მე ახლა მხოლოდ თავისუფრდად

სიარულს გაჩვევო

ვით გაუხედნავ

თავდსაცერა

პატარა ბუღებს,

მაგრამ სულ მალე, დიდსა და მძიმეს

მე საქართველოს სიყვარულის

დაგადგამთ უდელს,

აბა, თქვენ იცით, თუ როგორ გასწევთ!

მე მგონია, ქართველმა ყრმამ უმჯობესია ვაჟა ეგრისელის ეს პატარა ლექსი წაიკითხოს, ვიდრე სამშობლოს სიყვარულზე დიდაქტიკოსთა მიერ დაწერილი რამოდენიმე ტრაქტატი.



## თავი მესამე

### დრო, სიზრცე, პოეზია

სამი რამ შექმნა, ღმერთმა უსასრულო, დაუსაბამო და ყოვლისმომცველი: დრო, სივრცე და პოეზია. ვერცერთ მათგანს სიგრძე-განს ვერ მოუნახავ, დასაწყისსა და დასასრულს ვერ მიუჩენ, ვერავითარი საწყალით ვერ გაზომავ.

პოეზიაში მე ვგულისხმობ ადამიანურ ზეშთაგონებას, რაც ხელოვნებაში სახიერდება და არა მარტო ლექსებს.

მე არ ვიცი, საიდან მოდის ზეშთაგონება, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანში იგი ჯერ ლუქსად ჩაისახება და შემდეგ გარდაისახება ხან მუსიკად, ხან ფერწერად, ხან ქორეოგრაფიულ ნაწარმოებად, ხან დეპლამაციად და ა. შ.

პოეზია მაინც, უპირველეს ყოვლისა, ლექსია.

კი, დროს აქვს წამები, წუთები, საათები, დღეები და ასე შემდეგ – განზომილებანი. შეიძლება მათი დაფიქსირებაც. მაგრამ სად? – უსასრულობასი, რომელსაც ჩვენ სასრულ, ჩვენს მიერ შერქმეულ პირობითს სამანებს ვუდებთ.

დიახ, სივრცეს აქვს ფრჩხილი, გოჯი, მტკვაული, წყორთა და ასე შემდეგ – სიგრძე-განის მანიშნებელი. შეიძლება მათი ადგილზე მონიშვნაც, მაგრამ სად? – უსასუროლობაში, რომელიც ჩვენ პირობითად ჩვენი თვალსაზრისით შემოვზღუდეთ.



ასევე პოეზიასაც აქვს რაღაც საზომი – უძველესი, ძველი, ახალი, სტრიქონი, ტაეპი, შაირი, პოემა და სხვა. შეიძლება მათი ალაგ-ალაგ თაგმოყრა კრებულებში, ანთოლოგიებში. მაგრამ ეს იგივეა, ზღვა რომ თევზებში მოაქციო, ზღვა მაინც ზღვაა და მას ვერ ამოლევ.

ადამიანმა მაინც ადამიანური მოუნახა მსაზღვრელი დროსაც, სივრცესაც და პოეზიასაც:

**დრო** – სეოფსეოსი,

მაკედონელისა,  
ნაპოლეონისა,  
სტალინისა და ა. შ.

**სივრცე** – გალაქტიკა,

დედამიწა,  
საქართველო,  
ხორგა,  
ჩემი ეზო და ა. შ.

**პოეზია** – ხალხური მთქმელებისა,

ჰიმნოგაფებისა,  
რუსთაველისა,  
გალაკტიონისა და ა. შ.

და აი, ამ უკიდეგანო პოეზიაში პიროვნულ-ინდივიდუულური მსაზღვრელი ჭარბობს. პოეზიის უკიდეგანო სივრცეში ვარსკვლავებივთ ჩანან ისინი, ვინც მას თავისი განსაკუთრებული ხმა შემატა.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ვაუა ეგრისელის პოეზია, როგორც ჭართული პოეზიის ერთ-ერთი შე-



ნაკადი. როგორია ეს შენაკადი, რამდენად წყალუხვია იგი, ვითარ გამოირჩევა იგი თავისი თავსითავადობით?


უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვაო, რომ ვაჟა ეგრისელმა შექმნა თავისი პოეზია, რომელიც იმდენად პგავს სხვათა პოეზიას, რამდენადაც იგი საერთოდ პოეზიაა, მაგრამ ყველასაგან განსხვავებულია, როგორც მუხა, მსგავსი ხეთა სხვათა, მაგრამ ყველაფრით (ფოთლით, ნაყოფით, მერქნით და ა. შ.) გამორჩეული ყველა სხვათაგან.

### პოზე მელაშვილი

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ნაწყვეტი წიგნიდან – პოეზიის  
სამყაროში ხამოჯ ზაუროდ

გაგრძელება შემდეგ ტომში





\*\*\*

წელამდე ოოვლში დგანან ქედები,  
ზვავთა სიშმაგიო და  
სივერაგიო  
ბარს მწვანე გული გაუწყალდა და  
გაუსივდა,  
ზამთარს ჩაუცვამს თეთრი  
პერანგი,  
ჩამოდის დაბლა,  
მთების მაღალ იარუსიდან.

1989

## მასიანელები

მოელოდნენ მესიას...

მერე „მესიანებმა“

რწმუნა გააიაფეს!

და კელაპტრებს უნოებდნენ –

ლოცვითა და ჩურჩულით,

რჯულიანთ თუ ურჯულოთ,

მაჟმაღს,

ქრისტეს,

იაჟვეს.

1964



## ხილვა: 09ანე ლაზი

შავი ზღვისპირ,

მწუხარის ბაღში,

მესმა შაშვის ძველ კოლხური

მოტივი.

და როს ჩავუარე ფაზისს,

წარსულს წავეპოტინე...

და უეცრად ხმა მომესმა,

დიდი იოანე ლაზის<sup>1</sup>,

სოკრატეს და

ისოკრატეს,

პლატონის<sup>2</sup> და პლოტინეს!

1963

<sup>1</sup> იოანე ლაზი – ფაზისისი აკადემიის რექტორი (IV ს.)

<sup>2</sup> პლატონი – აკადემიის ჭალაში თავისივე  
დაარსებული ფილოსოფიური სკოლის, შემდეგ აკადემიის  
მოძღვარი (ძვ. წ. ძღ. V ს.)

## ତ୍ୟଗ

ଫୁଲମୁଖ କିମ୍ବା ଆରା,  
 ମହେ କିରସ ନୀଳାଙ୍ଗି,  
 କାରି ଶାଫଲାଚ ଶ୍ରୀକାରି,  
 ମନ୍ଦିରକାଟାଟା ଧର୍ମବଳି,  
 ଦୁଃଖିକିମ୍ବା ମନ୍ଦିରାଶ –  
 ଯେବେଳାର ପାଦରାଜି,  
 ତାଙ୍କୁ କାରି ଶାଫଲାଚ  
 ମନ୍ଦିରକାଟାଟା ଧର୍ମବଳି,  
 ତାଙ୍କୁ କାରି ଶାଫଲାଚ  
 ମନ୍ଦିରକାଟାଟା ଧର୍ମବଳି.

1953



## აშნაპი

თოვლის თეთრ სარეცელზე  
მწოდიარე,  
მდინარეს მშობიარობს  
მთა ორსული.

ზღვა კი ქარიშხლის არს ბუნაგი.  
შენი „კოლხური ფსალმუნები“ –  
კულტურაა „აუნაკის\*“,  
მეცამეტე ცის თაღიდან  
ჩამოსული.

1979

---

\* აუნაკი – ციდან დაშვებულს ნიშნავს, „სწორედ, ქალაქ კრიფუში 5500 წლის წინათ დაგჭება პირველი სამეფო ხელისუფლება“. ამერიკელი უფოლოგი.



## სოპრატე

„ათენელებმა სიკვდილისთვის  
გაიმეტეს სოპრატე“.

პლატონი

ბრძენი გენიოსის გზა  
(მერე მორიალე...)  
აქ აღმოჩნდა წამივით მოკლე,  
რადგან ის ათენელებმა,  
„ციკუტა“ დაალევინეს  
და... მოკლეს!!!

1962



## თეატრონი

ზეცა თეატრონია,  
ახლა შენ რომ შენატრი:  
ეს ფერადი ღრუბლები,  
თითქოს ნაგრევებია –  
რომაული ანტიკური  
თეატრის.

1968



## වික්‍රාත්‍යාරා

දායුණ්‍යෝධීය අමුමාගාලි,  
 ජේන් දෙපුත්‍රා තාර ද ද  
 උමජ ම්‍රියානි,  
 අතාස ජාර්තාගාන් නාදුරූපාන්-නාච්‍රාන්...  
 ද තෙවා ගි අරා,  
 තාර ටැයැන්,  
 ද පාලියෝරි ද  
 යෝගාච්‍රාන්\*

1979

---

\* යෝගාච්‍රාන් (ආත. ගාතානාස්ථූපෝද්‍යාලි) – ජාර්මන්සාක්සියි  
 භාෂි, රෝජ්පිට ඕවුලිස දෙදාමින්ස ද යුතුස මාස තුරු-  
 දෙනු ද පාම්බුරු නාඩුවාර්ස්පුරුජ්ඩාය.



## ხილვა: საოცრება

„გოლხეთი ოქრომრავალი ქვეყანა“.

აპოლონის როდოსელი

ოქროს ფრინველი,  
ციდან ოცნების,  
გოლხურ მიწაზე კვლავ  
ეშვებოდა,  
სადაც ოქროსი იდგნენ ბორცვები  
და მე პირველი,  
ვიყავ მხილველი,  
ამ საოცრების.

1953



\* \* \*

თუმცა მცოდნე ვარ  
სამართლის,  
მაინც ვამბობ ფიციო,  
მტკიციო,  
ვით სოკრატე –  
ქვეყნად „არაფერი ვიცი“.

2020



## ხილვა: კასიტები

ტიგროსის თუ ეგფრატის  
ტალღებიდან ხმა ისმის:  
„სქანი გოლიუაფირო!“<sup>1</sup>  
და... ყოფნის და არყოფნის,  
მუდამ მოიუფენი,  
პჭვრებ: კასიტა<sup>2</sup> მეფენი,  
მორჭმულნი  
და სვიანი,  
კით მართავენ ბაბილონს.

1968

<sup>1</sup> „სქანი გოლიუაფირო“ (მეგრ.) – შენ შემოგევლევ.

<sup>2</sup> კასიტები – კოლხთა (ქართველთა) – მონათესავე ტომქ-  
ბი. (ძვ.წ. აღ. XVIII ს.)



## თბილისი

ყოვნა ძნელია და  
არყოფნა იოლია,  
ორივე ქებნაა ახლის...  
თბილისი – პლატონის  
„მუსეიონია“, –  
მგოსანთა მუზების სახლი.

1962




## პრისტონი და პრისტონულე

ციო ესმოდათ მოყაშებაშე  
ხმა ორბების,  
ხალხს უთბობდნენ მიტომ გულებს,  
„ფეხშიშველი ბრძენიკაცის\*  
მეგობრები:  
პრისტონი და  
პრისტონულე.

1960

---

\* იგულისხმება – სოქრატე



## მაილობი

ცისკენ ლოცვად მიმავალი,  
წარსულ დღეებს  
ასდით კვამლი!  
და შენ ცეცხლი გიკიდია...  
იწვის სული...  
რჩება ნავლი,  
და ისიც კი დავიწყების  
ქარბორბალას სადღაც მიაქვს...  
და შენ მაინც, დანტეს  
ჯოჯოხეთის გავლით,  
ამ ცხოვრების ტოვებ წყვდიადს.

2020



### ო, იტალია

მე მგლის ყმუილი ქრუანტელად  
წარსულს რომ უვლის,  
ტანში აკრუოლებს –  
მითში მძინარ რომს და რომულის.  
აქ ხმები მესმის იბერების  
და ეტრუსკების,  
რომლებიც სხედან ხსოვნის ფსკერზე  
დიდი ხანია  
და დაგიწყების შიშით საწყლებს  
გული უსკდებათ  
ო, იტალია!  
შენი სიმშვიდე და სილამაზე  
ღმერთებს ცაში აუტანია...  
ო, იტალია!

1983

## სული

სამშობლოს ცაში,  
ლოცვად რომ ადის,  
სულია ჩემი,  
და არა ქვამლი.  
შოთას, ვაჟას და  
გალაკტიონის,  
მარად უკვდავი სულების –  
გავლით.

2020



## სამი იოანე

ვერ ჩაუქრეს სიბრძნის კერა,  
ვერ დაუმხეს –  
მზის სავანე,  
იმათ ფიქრებს მიტრა<sup>\*</sup>-მოსილთ! –  
სამი დიდი იოანეს:  
ჭიმჭიმელის  
პეტრიწის და  
იტალოსის.

1968

---

\* მიტრა (ბერძ.) – უმაღლეს სასულიერო პირთა თავ-სრქმელი.



## სერგეი მარკოვი

სოფლის შუკებში ფეხში შველმა

უნდა ირბინო,

რომ სიყმაწვილემ

(ჯანის მავნეს)

მტვერი ადინოს.


ახალი მთვარე ცერზე დაისვას,

როგორც მიმინო,

და მთვარის შუქზე

რომ ინადიროს.

1967



## ქართველებო!

ცხოვრება რაშია უბელო!

ნუ ბაძავთ გამპირებს

და ყაჩაღებს.

ქართველებო! –

ჩვენს წარსულს

სული შეუბეროთ,

რომ წინაპართა –

კოცონი გაჩაღდეს!

1966

## რიბი-რაბო

მოოქროვილი და მოვერცხლილი,  
მთვარეა,  
ვით თამარის ქოში,  
ცას დვთაებრივი ფერები ერთვის...  
გაუხელიათ თვალები  
შროშნებს,  
ახალ მოსული —  
თოვლივით თეთრებს.

1991

## პლატონი

„შეა ზღვაში გაიყვანე პლატონი,  
მოკალი ან მონად გაყიდე“.  
დიონისე

ბრძენ კაცს ათენელებმა  
ხელი ცუდად მოკიდეს!  
მევეც გადაეკიდა!!!  
კლავდიენ ანდა რომ ყიდნენ,  
ნეტავ მასზე ძვირფასი,  
რადა უნდა ეყიდათ!

1991



## ჩრდილო პოლუსზე

ახლა ვარ პოლარეთს...  
და ვითა ნობილე,  
ჩამავალ მზის სხივებს  
მივტირო...  
სამშობლო ჩემო!  
შენს კედლებს –  
ქვიტკირის,  
შორსა ვარ, მაგრამ  
ვარ მიყრდნობილი.

1983



## 100 – ტომეული

რაც მომცა უფალმა,  
ისევ ის მიწაა,  
და ისევ ის წყალი!  
ეს „100 – ტომეულიც“  
ჩემია!  
სხვათა არ ურევია  
მისხალი.

2019



სიღნაღო,  
დარჩელი

ჩემი ციცქნა საქართველოს,  
სოფლები და  
ქალაქები,  
ერთმანეთში ამერიკუნ:  
იქ – სიღნაღი,  
აქ – დარჩელი!  
და გავყურებ ამერ-იმერს,  
სასწაულად –  
გადარჩენილს.

1966



## გარსგველაგები – შინააკართა სულები

ფერად ღრუბლებით შემოქსოვილი,  
თავს პვლავ იწონებს  
მთვარის ტიარა\*.  
დამეა ჩუმი და უწყინარი.

და...

ცად ვარსკვლავები  
კი არა,  
წინაპართა სულებია –  
რომ ბრწყინავენ...

1964

\* ტიარა (ბერძ) – მეფეთა და ქურუმთა თავსაბურავი.



## გლეჭიშვილები

ოცნებების მაღალ მთიდან,  
სიცოცხლის და  
სიყვარულის  
ეშვებიან გლეტჩერები,\*  
და მე, შენ იქ მეგულები...  
რა ვქნა!  
ჩემო,  
მეჩემები!

1972

---

\* გლეტჩერი (გერმ.) – ყინულის მასა.



## პითია

ასე ყოფილა თურმე ბედი  
დიდი პოეტის,  
ის ჩუმად იწვის,  
როგორც პატრუქი.  
ის ლეგენდაა,  
და ის მითია...  
და ვით იტყოდა ბრძენი პითია:  
— მიხი გარჯა კი უფასოა  
და უბადრუები.

2017



## ჩემი პოლიტიკა

დღეები და გზები,  
ნეტავ სად მიდიან  
და რად გვეშინია ჩვენ  
უკან მოხედვის!  
ეს ცისარტყელა –  
ფერადი ხიდია,  
რომლის იქით ჩანს –  
ხეთი და მიდია  
და ჩემი კოლხეთი.

1959



## ცად ადის ლოცვა

ყველა რწმენაში მირონი წვეთავს,  
რომელს,  
მლოცველი მირონში  
ავლებს.  
და ყველა ჯურის ადამის ძეთა,  
ცად ადის –  
ლოცვა –  
ქრისტეს ჯვრის გავლით.

1969



## ზღვაზე

ერთმანეთში ირეგა  
ლრიანცელი ზვირთების,  
მცირისა და  
დიდობის...  
უსმენ ზღვის სიმფონიას...  
და შენ თავი გგონია.  
ალბათ...  
პოსეიდონი\*.

1966

---

\* პოსეიდონი (ბერძ.) – ზღვის ღმერთი.



## სამშობლო ჩემო

ჩემი ლოცვა და

ჩემი ფსალმუნი,

ჩუმად მიიწევს სამშობლოს

ცისკენ,

სადაც, რომ ოცი საუკუნეა,

სამშობლო ჩემო!

რაც იქ ეგულვით —

მაცხოვარი იქსო ქრისტე.

1992



## ბრილის სამარხები

რა კარგი,

რა სამოა,

მიწას გულიდან ამოაქვს –

ადამის მოდგმის –

დაუწერელი

ისტორია.


1995



## მეტარება

შენ მიწაზე ეგულებით,  
ვით პოეტი  
და ტოვებენ უსამანო  
ცათა მორევს.  
თავს იკლავენ...  
შენი ნახვის კლავთ  
სურვილი,  
ცას მოწყვეტილ მეტეორებს.

1978



## ଶକ୍ତିକାନ୍ତିର ପଦାଳୁଷ୍ଟ

ଫଲେତା ଫେରେଥାନ ଦେବରି ନମ୍ବେ...  
ଫା ଗାମାରଜ୍ଞବେଦୁଲ୍ଲୀ,  
ରନ୍ଧ ଆର ଗ୍ରେଚ୍ରନ୍ ତାଙ୍ଗି  
ହାଗର୍ଜ୍ଞଲାଦ,  
ଗାଲାକ୍ତିରିନମା ଗାନ୍ଧାଗାସକା ଫ୍ରାଣ୍ତି  
ରିନ୍ବେନ୍ଦୀ,  
ଫିରମା ଫାରାମ ଫୋ -  
ଅରାଗଗିର ଫା...  
ହାରଗଲ୍ଲୁଲାସ

1993



## შენ ხარ ძველი პოლეათი

პონტო აკვანს გირწევდა  
და ღამეებს გითევდა,  
აქამდის მით მოხვედი!  
შენ ხარ ძველი კოლხეთი,  
გადმოსული მითებით  
დღეის –  
ახალ კოლხეთში.

1982



## 0 შ დ ა ს ნ ა მ გ მ რ ე ვ ი

ცა გედარ ირჩენს მნათოა იარებს,  
 ისევ ღალატის ბრუნავს  
 მორევი...  
 შეხედეთ ჯვარზე გაქრულ იესოს,  
 კით ხელისგულზე მას  
 ნალურსმანი,  
 ისე ატყვია ღვთაებრივ მკერდზე  
 იუდას შავი ნაამბორევი.

1971



\* \* \*

ასი ათასწლეულია,  
სიყვარულის დის  
მდინარე,  
დღეები გერ აჩერებენ,  
აყოლებენ მერე მზერას,  
სიძულვილით გაჯერებულს.

2000



## მწვერვალები

უფლის ნახვად იწევენ,  
დედამიწის სულივით,  
და გითარცა ოცნებებს  
პლატდათ...  
და კლავთ მწვერვალებს –  
ზე-ცად ასვლის  
სურვილი.

1997



## ხილვა: არსენ იყალთოელი

მანგანის<sup>1</sup> დღე გათენდა და,

მზე გაბრწყინდა

ელადის.

და... ვჭვრებ არსენ იყალთოელს,

სიბრძნის ორი ტაძრის<sup>2</sup>

მოძღვარს –

იყალთოს და

გელათის.

1966

<sup>1</sup> მანგანის (კონსტანტინპოლი) აკადემია (XII ს.)

<sup>2</sup> ორი ტაძარი – იგულისხმება გელათისა და იყოლთოს აკადემიები, რომელთა პირველი რექტორი იყო მანგანის აკადემია დამთავრებული არსენ იყალთოელი (XII ს.)



## მიყვარხარ და...

აღსაგლიდან –

დასავლეთით,

ფერად-ფერადი დრუბლების –

ისევ მიაქვს მზეს ტივები...

რა ვქნა,

ჩემო! –

მიყვარხარ და...

სულ მემდერებ-

მეტირები...

1979



## ვიქრები

ერთხელ კი არა,  
ამბობ მეასედ:  
შენი მფრინავი –  
შავრა პეგასით,  
პარნასის გავლით,  
მთაწმინდაზე შენც გიწევს  
გავლა,  
ისე, როგორც ვაჟას  
და გალას.

1993



## პახოლი

ცაზე მზე კიდია  
ცეცხლივით ელგარე,  
ისე, ვით დამოკლეს  
მახვილი.

ჩვენ მაინც ცხოვრებას  
მივათრევთ კირთებით.  
და... ბიბლიიდან

მოგვეხმის ძახილი:  
— ნუ განიკითხავთ და  
არ განიკითხებით!

1983



## ცარიელი ჰურგელი

„ბრძენია სოფოკლე, ევრიპიდე  
უფრო ბრძენია, მაგრამ კაცოა –  
შორის სოერატე ყველას აღემატება სიბრძნით“.

პითია

ბრძენთა-ბრძენი სოკრატე,  
მრავალ ბრძენთან მივიდა,  
უსმელი და  
უჭმელი,  
მაგრამ სახლში მას დახვდა  
ცარიელი ჰურგელი.

1966



## პჲა

დმერთს ერთსა ვთხოვ,  
განა ულევს:  
ნუდარ შეცვლის –  
წვიმით ტაროსს,  
სიძულვილით სავსე გულებს,  
სიყვარული შეაპაროს!  
და მოყვარულ მმებს ერთურთი,  
სიკვდილამდე შეაყვაროს.

1991




## მაისი

ათასწლეულების მერე,  
გაუკეთებს დრო არჩევანს –  
დაბადებულს ქრისტეს პვართით.  
და... მაისი, ვით დელოსზე  
აპოლონის დაბადების  
დღეს...  
ასევე შენი ქართი\*  
იზეიმებს შენს გაჩენას.

2020

---

\* ქართი (მეგრ.) – ობილისი – საქართველო.



## କର୍ମସହିତରେ ଏବଂ ଶିଖରରେ

ତଥାପି କାହାର କାହାରି –

ବୁଦ୍ଧାଶୀଳ ପାଦପ୍ରତିଷ୍ଠାନ କ୍ଷେତ୍ରରେ

ପାଦ ପାଦାଶ,

ରାଜମହାନାଥ ପାଦରେ.

ଏବଂ ଶିଖରରେ କାହାରି –

ବୁଦ୍ଧାଶୀଳ ପାଦପ୍ରତିଷ୍ଠାନ –

କର୍ମସହିତରେ

ଏବଂ ପାଦରେ.

1954



## ხარება

აღარ მიბაძე პილატეს,  
არც ბარაბას და  
არც ქრისტეს  
ძვლის მკვნეტავ ბრძოს და ურიებს!!!  
ცამ გირჩია, ვით მგოსანს,  
რომ სიყვარულის  
მღელვარ ზღვას,  
შენც წვეთი რომ შეურიყ.

1991



## სოკრატე და ისოკრატე

ათასწლეულების მერე,  
კვლავ აკურებს  
მოელ ქვეყანას,  
და სიცოცხლეს ისევ მატებს,  
ორ ღმერთკაცის დათესილი  
სიბრძნის ყანა:  
სოკრატეს და  
ისოკრატეს.

1979



## ეზოტერიკული

აგსულს უთხარ არული,  
ელგას რომ დაეწიო...  
ეზოტერიკული კი –  
გ. ი. ფარული,  
სულში უნდა  
ეძიო!

2017



## პოლსები, მასხები

ერთი იყვნენ ყოველთვის  
 კოლხები და მესხები! –  
 დასტურ ისმის „კირბიდან“<sup>1</sup>  
 კოლხურ ბატბის პეტელი.  
 – დიდ კოლხეთის კოლხობას  
 ოქროს ფრთები ესხმება, –  
 წარსულიდან ხმა ისმის  
 პეტატე მიღებელი<sup>2</sup>.

1979

---

<sup>1</sup> „კირბი“ – კირიბი (მეგრ.) ბატკანი, რომლის ტეატრს საჭერ მასალად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები. (წიგნი).

<sup>2</sup> პეტატე მიღებელი – ბერძენი მემატიანე (ძვ.წ.აღ. VI ს.)

## სული, გონიერა, ფრთხები

ცაში კი არა,  
ამ ცისქვეშეთში,  
ყოვლისმხილველი თვალები  
ხედავენ:  
დღები – ალესილია დაწებად!  
სული – პეგასია,  
გონება – მხედარი,  
ფრთხები კი – სურვილი  
და ნება!


2020



## 0183 პოლემიტი

ზღვისკარად მდგარი კოლხეთის,  
მიწის პირიდან თქვეს აჰგა!!!  
მაინც ნათელი –  
ადგას დვთის.  
თუმცა დღეს იგი –  
ქვევრსა ჰგავს,  
დამარხულს,  
სარქველ გადახდილს.

1964



ლილე,  
გოსა,  
გარადა

შოორეულ წარსულიდან რომ ისმის:  
„ლილე<sup>1</sup>“,  
„ვოისა<sup>2</sup>“ და „ვარადა<sup>3</sup>“,  
ილევა...  
და განა ულევია!  
და შორით რომ ჩანან –  
მიუავლ კლდეებზე,  
ქართული ციხე – ტაძრები კი არადა,  
ჩვენი წინაპრების ამაღლებული –  
სულებია...


1966

<sup>1,2,3</sup> – ღმერთები ქართულ პანთეონში

## „აი ია“, „აია“ – პოლემი

დედა-ენამ „აი ია“-თ,  
სამუდამოდ განგვიპურნა  
უუძველესი კოლხეთი,  
მტრობის შურით –  
სნეული,  
და „აია“ – ქვეყანა –  
ოთხი ათასწლეულით.

1973



## სოპრატე, პლატონი

– ჩვენთან არის ქსენოფონტე,  
ანტისთენე,  
ესქინე და ფედონი  
და არავართ მარტონი  
და არც უიმედონი  
ამბობდაო – სოკრატე  
და წერადაო პლატონი.

1969



## ხილვა: ლეონტი მროველი (XII ს.)

„სომხეთის ხელისუფალთ ექვემდებარებოდა  
საქართველო“.

მოვსეს ხორქნაცი  
„სომხეთის ისტორია“

ძაღლი პატრონს ადარ ცნობს...

და ვჭვრებ ლეონტ მროველის,  
უსირცხვილოდ რომელიც,  
„ქართვლის ცხოვრებასა“ და  
საქართველოს დიდებას,  
მასთან მის ისტორიას –  
სომხეთით ეზიდება!!!

1963



## სეიჭიცხოველში

სარკმლიდან შუქი რომ შემოდის,  
მეფე გიორგის არის ტიარა\*.  
ეს მორჩილია,  
ის კი მნათეა!  
და აქ სანთლები კი არა,  
არსაკიძის სული  
ანთია.

1960

---

\* ტიარა (ბერძ.) – მეფეთა და ქურუმთა მოსახახამი



## ამირანი და სეფედავლე

მივტირით კლარჯეთს და  
ტაოსაც...  
ჩაყლაპვას გვიპირებს  
დევი და ავსული.  
მოვიდა „კორონა“ და  
მუსრს გვავლებს!!!  
თვალსა და ხელშუა გვიქრება  
წარსულიც!!!  
ლეგენდიდან – საშველად მოვუხმობთ  
ამირანს,  
მითოსიდან – სეფედავლეს!

2020




\* \* \*

(ვარიანტი)

მამა-მშობელმან არ მიმატოვოს,  
ვითარცა წინათ  
კვლავ მიუარავდეს.  
მისი სიშორით კვლავ ვიღეწები.  
თვალმიპყრობილი ცისკენ  
მარადის  
ეს „მე ვარ ვაზი,  
ოქვენ კი ლერწები!

1967



\* \* \*

მიღმა შვიდი-რგა ათასწლეულის,  
სიკრცეს ადამის გმინგა  
მოესმის:  
— არავინ რჩება აქ სააქაოს.  
გადარჩენილ წარდგნას  
და ქაოსს,  
გაგდასიონი —  
კიდობანი არის ნოესი.

1964



\*\*\*

ბაბილონის გოდოლს აგებ,  
ჯერ ვერავინ გირევს ენას,  
თუმც დღეები დებე ბინდად.  
შენი ციდან მოქუხს რწმენა,  
კით ჩანჩქერი –  
თებეს მთიდან.

1984



## ბა, ბაცი და ზაღენი

თუ საიდან მოვიდნენ,

ქართულ თქმულებებში და  
ლეგენდებში,  
მითებში,

კვალს ვერ მივაგენი:

ითრუჯანის<sup>1</sup>, არმაზის<sup>2</sup>,

გას<sup>3</sup>,

გაცის<sup>4</sup> და ზაღენის<sup>5</sup>.

1969

---

1, 2, 3, 4, 5 – ქართველთა წარმართი დმერთები.



## გაკადოგიაში

არც ნინო ჩანს,  
არც გიორგი,  
და დალისის ნაპირებზე –  
წარსულ დღეთა შავი ქარი,  
ისევ ჩუმად დახარხარებს...  
მე, ქედებს შუა ტავრისა და  
ანტი-ტავრის,  
ვჭვრებ ქართველთა ნასახლარებს.

1980



\*\*\*

სულიწმინდის მონაბერი,  
როს დაპქროლა ცივმა ქარმა,  
და ტალღების –  
ატყდა ტაში...  
შენც,  
იხე, ვით მაცხოვარმა,  
გაიარე მდელვარ ზღვაში.

1993



\*\*\*

ქართული სიტყვის დიდების,  
აღარსად ჩანს დალატი,  
თუმც ჯარია უთვლელი.

(ხარ უღვთოთა მგმობელი!)

„კოლხურ ფსალმუნებშია“

- დაწყებული რუსთველით,  
ხონელით და თმოგველით –

ყველა...

დამთავრებული –

გაჟათი და გალათი.

1974



## გარდა შენ და ფაზისის

როგორც ქვეყნად არავინ,  
შენ იცოდი ფასი მზის  
და ვარსკვლავებს ხვდებოდი,  
ისე, როგორც შენიანს...  
და ამიტომ კოლხეთის ხსოვნა –  
ამ ცისქვეშეთში,  
გარდა შენ და ფაზისის  
სხვას აღარ შერჩენია.

1987



\*\*\*

(ძმის – ავთანდილის ხსოვნას)

როცა გავა „ორმოცი“,  
გარდაცვლილთა სულების  
ისმის ჩუმი ხორხოცი...  
სადღაც მოუსავლეთში,  
სადაც არის ცის ორმო,  
უფრო ხწორად ორმო-ცის.

1993



\*\*\*

აიეტივით შენ ხარ მზის შვილი  
და მოვარისაგან ხარ მონათლული  
და ვარსკვლავები –  
შენი და-ძმები,  
რომ სადმე ერთიც არ დაგეპარგოს,  
სულ სათითაოდ  
შენ გყავს დათვლილი.

1989



## ვარსპგლავები – იდიოგრამები

ცას მოუშვია დრუბელი –  
ქათქათა,  
უფლის წეერივით.

შორს მოვარე ჩანს ეფუთივით.

ვარსკვლავები –  
იდიოგრამებია,  
არსთაგამრიგის ხელნაწერით და  
იდუმალებით შეფუთვნილი.

2005



## მიქელსა და გაბრიელს

„სამოელ ეშმაკი (ქვიდან ამოხტება),  
ღმერთს ყანერატოში წვდება  
და დახურობას უპირქოს“.  
სკანური ოქმულება

ვთხოვ, ჩემს ანგელოზებს:

მიქელსა და  
გაბრიელს –

მტერს და რისხვას წარმართოა

შემახვედროს სამოელს –  
(ღმერთის შეურაცხმყოფელს).

სული რომ ამოვართვა.

2000



## სარგონ მეფე

– მივეც ცეცხლს და გენიას –

მუსკის<sup>1</sup>,

მესხის<sup>2</sup>,

ტაბალის<sup>3</sup>,

სახლ-კარი და საბძელი,

რადგან ვეღარ მივიღე

მათგან საქმე სარგონი.

და მეც, როგორც თიგლათმა<sup>4</sup>,

თავები სულ წავსხიპ:

თავმოკლეებს<sup>5</sup>,

თავგრძელებს<sup>6</sup>,

სადღაც, მიუვალ კლდეზე,

აწერს მეფე სარგონი<sup>7</sup>.

1978

1,2,3 – ქართველური ტომები

4 – თიგლათ – პილასარ I (ძვ. წ. 1,100) ასურეთის მეფე

5 – თავმოკლეები – დოლიხოკლელები (არაქართველები)

7 – სარგონი – ასურეთის მეფე (ძვ. წ. 722-705)

\*\*\*

თუკი ვსდიეთ თქმულებებს,  
მითებსა და  
ლეგენდებს:  
ღმერთთა შორის პირველი  
არის წმინდა გიორგი,  
ვისაც ყველგან ელიან...  
მერე კი „შემოქმედი“  
და მესამე ელია.

1984



\*\*\*

მეხის დახნულ ცის მინდორზე,  
დამე მთიებს  
ისევ თესავს...  
ჩანან რწმენის მწვერვალები.  
სიტყვას სიბრძნის  
ქვაზე ლესავ,  
რომ ხმალივით ელვარებდეს...

1972



## ქალდებსა და იგმრებს

„ყველა ქართველი ტომების სამშობლო,  
როგორც ვიციო, ქალდეა იყო“.  
ივანე ჯავახიშვილი

იყო დრო,  
როდესაც სამყარო  
ხელთ ეპყრათ ქალდებს და იბერებს,  
ებურათ მთოვარის ტიარა,  
გჰ, მერე, ვინ იცის, სად დაივანეს!  
თუ გზაზე უწიათ სიბერემ!  
და ვითარც ბრძანებს ივანე,  
მას შემდეგ: „ბევრმა კოკა წყალმა  
ჩაიარა“...

1980



## ზაღენი და არმაზი

წარსულ დღეთა ბილიკით

მცხეთას როცა ჩავუვლი,

მთიდან შემომანათებს:

ზადენი და არმაზი –

წარმართების ნაქსოვი,

ქართლის პრეისტორიის

გახუნებულ ნარმაზე.

1979



\*\*\*

ახალნაყარი სკებივით –  
გზები ისევ ირევიან...  
და ყველა გზა,  
რომში არა,  
ღმერთთან მიდის...  
ახლა წვიმს და...  
შენ უფალთან გადადიხარ –  
ცისარტყელას ფერად ხიდით.

1971



\*\*\*

უკვდავების მდომელმა,  
„პოლხური ფსალმუნებით“  
სამყაროს გარს უარე,  
ისე, როგორც ჰომელმა,  
მასპერომ და  
გუარმა,  
მძინარ „ვანის წარწერებს“.

1974



\*\*\*

გარსპოლავების სიშორე  
გათოვს,  
გითა გათოვდა...  
მაინც ცისკენ იურვი, —  
საიდანაც მნათობთა, —  
ისმენ უვერტიურას.

1977



## პიაპია

პროფ. ლუარა სორდიას

ქრისტესა და რწმენისათვის  
ღამეები –  
ვინც ათია.  
გნოსტიკოსთა მსხვერპლი გახდა,  
პროტაგორას –  
მიმდევარი,  
უფლის მონა ჰიპათია\*.

1995

\*415 წელს ფილოსოფონი ქალი ჰიპათია ურწმუნო  
გნოსტიკოსებმა ნაწილ-ნაწილად დაგლიჯეს



\*\*\*

მთებით ხელ-ფეხ შეკრული,  
მხრებს ვერ შლიდა არაგვი,  
მტკვრის ამბორის მსურველი.  
მცხეთის სანახებში კი  
მწუხარს გალობდა ბულბული,  
მაგრამ ხმადაკქილი,  
იყო უსულ-უგულო,  
არმაზ დმერთის კერპივით.

1969



\*\*\*

მეორმოცეს ისარს უწვდენ...

ვით ცხვრის ფარა მიატოვე –

საუკუნე ოცეული.

რადგან ლირის "ხელმწიფობა"

"მაღლიდან გაქვს

მოცემული".

2012



## ମହିନା

ଘାରଫଳ ଜଗଲବେଳିରେ,  
ତୁ ପ୍ରମାଣ କହେଯନାହା,  
ଅତାଶିଖିଲେଇଲତା ପାଇବା  
ପାଇବା –

ବାଲବେଳି – ରାତରିରେ...  
ବ୍ୟକ୍ତିରାବରନମା ମନେରାବେଳି,  
ତୁ ନିରାପଦ ପଦକଣ୍ଠରେ,  
ତାମଙ୍କାନେ ରାତରି ବ୍ୟକ୍ତିରାବରନ  
ମନେରାବେଳି.

1964

\*ମହିନା – ମହିନି, ମତବାରିରେ, ବାର୍ଷିକାବ୍ୟକ୍ତିରେ –  
ଜାତିବାନୀ ଜଗଲବେଳିରେ ଉପରେକ୍ଷଣ କରିବାରେ.



## ქართული სული

რა წარდგნა და მიწისძვრა?!

ეს სულია ქართული,

დედამიწას რომ არყევს...

(თავზე რომ არ დაგვემხოს –

ზეცას უდგას სვეტებად!)

ზესკნელში და

ქვესკნელში,

რომ ვერაფრით ეტევა.

1993



\*\*\*

ଗୀର ପଥାନ୍ତର ପିଲା,  
ଫାରମାରତ ଫାରିସେବେଲତା  
ଲାଭକାରୀ,  
"ବିରଗ୍ୟାଲ ଲାଲାଭିର୍ଜନ".  
ଯିତା ମେଘେ କେରାପଦେଶ  
ଏବଂ କର୍ଣ୍ଣପଦେଶ କାଲାଭିର୍ଜନ.

1989



## სემირადის და მედეას გაღვენი

დედა-ქალდე წყალობდათ,  
ედგათ მზე და ამინდი,  
მიტომ ათასწლეულთა –  
ოქროს ჭიშკარს ალებენ:  
მარადის მოყვავილე –  
ბალი სემირამიდის,  
და უდროოდ დამჭკნარი –  
კოლხ მედეას ბაღები.

1968



## ერეზუ და გაღთიბირა

(ვარიანტი)

ცით მოვლენილთა ნაგები

ყველა დაბა და

ქალაქი –

დავიწყებამ გადიბირა:

სიფარი<sup>1</sup> და

შურუფაქი<sup>2</sup>,

და ლარაქი<sup>3</sup>,

ერედუ<sup>4</sup> და ბადთიბირა<sup>5</sup>.

1969

1,2,3,4,5 – წარდგნამდელი მსოფლიოს პირველი, შუმერების  
(კოლხების) ქალაქები (VII-VI ათასწლეული)



\*\*\*

ცხოვრება აყალოთია ნაგები,

ჩვენ კი გვგონია

ქვიტკირის.

რა სიცოცხლე?!

სულ ერთი ხელისგაწვდენაზეა –

სიკვდილი.

2013



\*\*\*

ვარსკვლავები როდესაც  
 ფრთოსან ანგელოზებად  
 ცაში ლოცვით იკურთხნენ,  
 მაშინ დედამიწაზე  
 მზეს და მთვარეს უგებდნენ  
 ტაძრებსა და  
 ზიკურთებს.

1972



## შემიზულება, იმსუ ჩემო

ვით ნაკვერჩხალი,

მიინაგლა წელი ერგასი,

რაც ეს სამყარო ჩემს თვალებში

ჩუმად ირწევა

და ეკარგება ყოველივეს ფერი და

გემო!

მალე მოველი შენთან მიწვევას

და...

"შემიწყალე, იესუ ჩემო!"

1991



## ხილვა: ალგანეთი, V საუკუნე

ვითა ბერდუჯი და მტკვარი,  
 დრო დინებას არ ანელებს  
 და ბარდავის<sup>1</sup> სანახებში:  
 დიდ ქვეყანას ვხედავ –  
     კოლხურს<sup>2</sup>  
 და კოლხ-მეგრელ-“ალბანელებს”.

1976

1 – ბარდავი – ალბანეთის დედაქალაქი (V b),  
 2 – ალბანეთი – კოლხური ქვეყანა ყოფილა (V b.),  
 რომელსაც თავისი დამწერლობა პქონია



## გათხვება

ცაში ყიჯინა ისმის მაცალის,  
ყრია ვარსკვლავთა  
ჯაჭვ-მუზარადი,  
ისე, ვითარცა ველზე მარაბდის.  
და... მაინც ღამე –  
დღეს მიაცილებს,  
სადღაც აღსავლით,  
კუბოს კარამდე.

2002



## ဗျာပေါက်သော်မူမှုများ နှင့် ဖြစ်ဖော်မှုများ

ပဲလာဒို့အန် ဖဲ...

တာဒေါ မာာန္ဒာ

နာရ-ဦရမ္မာပါယာ

မျှော်လျှော်ပါယာ...

ဖဲ ပဲချော်ရှိ မား ဖွော်ရော်ပါယာ!!!

နော်၊

ရာဇာ ဂျှော်လျှော်ပါယာ!

လျော်ဆောင်ရွက်ပါယာ!!!

ဖြစ်ဖော်ပါယာ!!!

2009



\*\*\*

წამით მზერას არ აშორებს,  
დღისით მზე და  
ღამით მთვარე  
და უფალიც ცით უყურებს:  
ცრუებს და ქვეგამხედვარებს,  
სულით ბრმებს  
და გულით ყრუებს.

2011



## სიბილა

არ ღირს წუთისოფელი  
ამდენ ტანჯვა-  
სირბილად!  
დელფოს დიდ სამისნოდან –  
შეგვახსენებს  
სიბილა\*

2001

სიბილა (ბერძ.) – წინასწარმეტყველი ქალი



\*\*\*

ათასწლეულებთან ბრძოლით,  
სიკვდილ-სიცოცხლესთან  
დავით,  
"კოლხურ ფსალმუნების" ჯარით,  
ხელთ გიპყრია,  
გითა დავითს, –  
"შურდული და ოქროს ქნარი".

1972



\*\*\*

არა ასურელები,  
იყვნენ ქალდეველები,  
რომ ეწვივნენ დიდ მცხეთას,  
და მცხეთოსის სანახებს.  
ქრისტეს რწმენა ასხურეს...  
ქრისტეს ამბრი სდიოდათ,  
ცამეტივე "ასურელო".

1968



## კელტებისა და ბერბერების

კავკასიის სანახები,

ვერ იტევდნენ –

იბერ-ბასკებს,

კელტებსა და ბერბერებს.

ვახმე!

როგორ გაფანტულან...

ვედარა ჭვრებს ხალხი ერთად,

ლამაზებს და...

ბევრ-ბევრებს.

1979



## არ ჩანს მოსე

"და როგორც მოსემ აღმართა გველი  
უდაბნოში, ასე უნდა აღიმართოს  
ძვ კაცისა".

(იოანე 3,11)

იქ – აფსუა

და აქ – ოსი,

კვლავ ესობა მტრობის ხმალი

ვადამდე.

არ ჩანს მოსე,

და არცა "სპილენძის გველი",

რომ განკურნოს

ქართველთა სიაგადე!!!

1991



## პურივებმა ურიდან

ორი ათასწლეულის ისტორია

(ბიბლიაც),

ქალდეველებს მოპარეს,

პურივებმა,

ურიდან!

მაცხოვარიც ჯვარს აცვეს!!!

მიტომ ღმერთმა დასაჯა

და თავზარი დაეცათ!

ახლა მას აბრალებენ

ორაგულებს და

მენცარო.

1969

\*\*\*

რადგანაც მოვედი,

მე ვიცი სიკვდილის

რომ მადევს ბორჯილი

და გეჰენიის კოცონიც ბურბურებს...

— სული დამიბრუნეო! —

ვიდაცა მომკიფის...

მე ვიცი,

ვინც არის...

და აღარ ვუბრუნებ.

2014



\* \* \*

ელგა მიწას თვალს ჩაუკრავს  
და შორიდან მოვარე მოპგავს  
ზესკნელს გაკრულ აფიშას.  
ცას – მნათი არ დააკლდება,  
გულს დარდი და  
ზღვას ქვიშა.

1989



## მზა კოლხეთში აღმოჩნდა

მილიარდი წლის წინათ,  
მზე კოლხეთში აღმოხდა –  
მოსვლად კაცობრიობის.  
იგი იყო სამყაროს რწმენაცა და  
იმედიც.  
დედა გახლდათ კიბელე<sup>1</sup> –  
კოლხეთის და ქიმეთის.<sup>2</sup>

1977

1 რეა კიბელე – კაცობრიობის პირველი დედა.

2 ქიმეთი – ეგვიპტის უძველესი სახელწოდება.



\* \* \*

დარდით გადახურული –  
ხალხთან დადგი კარავი.  
„პოლხური ფსალმუნები“ –  
ათასწლეულს ჩაუვლის –  
როგორც მზის და სიცოცხლის  
დიდი დღესასწაული.


2001



\* \* \*

ଜାରିଥିଲିଲିଟ ମତ୍ତରାଲି ଫା ଗାଲ୍‌ଯିଲିଲି  
ଥିଲା,  
ରେଫାମିଯାସ ମିଯୁରେବୋଇା.  
ମତ୍ତେବୋ – ମନ୍ତ୍ରିରିଲି ତାଙ୍କେବୋଇା  
ଦାୟଦାୟ ରେଗେବୋଇସ,  
ମଦିନାର୍ଜୁବୋ – ନିଲାବିଶ କୁର୍ଜୁବୋଇା.

1962



## პუნქტი

ცა და მიწა ერთიან –  
გადათელეს ჰუნებმა,  
მაგრამ მაინც მინდვრები  
მკერდზე ვარდებს იბნევენ.  
და სიცოცხლეს სიკვდილით  
ვერ უცვალეს ბუნება.  
ვერ უქციეს სამყაროს  
მზის სინათლე –  
სიბნელედ.

1991



## შულებიან

მომელანდება რამზეს მეორე\*

და სპა ურიცხვი ზღვისებრ

თავხედი.

აქ, გარდასულთა ქრიან ქარები.

როცა მდელვარე პონტოს გავხედავ,

ფიქრი კოლხეთის წარსულისკენ

გამეპარება.

1963

---

\* რამზეს მეორე – ეგვიპტის ფარაონი (ძვ.წ.აღ.XIVს.)



\* \* \*

(ვარიანტი)

სამშობლო მზეა ამომავალი  
და მის გულისთქმას  
პვლავ უსმინე,  
როგორც უსმენდი.  
კაცის ცხოვრება გაუვალი ტყეა –  
უსურის.  
შენ, ვარსკვლავების ოქროს  
ლურსმნებით  
საქართველოს ცას  
ხარ მილურსმული.

1966




## ჯგუბე

ჩემს გატანჯულ ლამაზ მამულს,  
 ვით წირსფალმა,  
 მოწყალების  
 თვალით გადმოხედოს ეგებ.  
 და განგმიროს გველეშაპი –  
 კოლხ ღმერთკაცმა წმინდა ჯგუბე.\*

1969

---

\* ჯგუბე (მეგრ.) – წმინდა გიორგი.



\* \* \*

მზე, როცა მიმწუხარება,  
წითლად შედებავს ზეცის  
კამარას,  
ჩამოხუნდლული მნათთა მტევნები,  
და როს ჩაუვლი ღია სამარეს,  
შიში ძალლივით აგედუვნება  
და შენს სიცოცხლეს გაატრამალებს.

2004



\* \* \*

არ დაუდვია თავი ბალიშზე  
 დამეს და როგორც ჭლექიანი  
 სულ ახველებდა,  
 (არავინ ჩანდა მთვარის მნახველი)  
 სისხამ დილით კი ცაბ  
 ფერმიხდილმა,  
 მზე, ვითარც სისხლი ამოახველა.

1957



\* \* \*

პონტოს ზვირთთა გრაგნილებზე –  
მოციმციმე ვარსკვლავებით  
დაწერილი,  
კოლხეთია ჩემი მზე და ევანგელი,\*  
რომელიც სხვა დანარჩენთა  
სასწორს ხრიდა.  
თუმც ცნობადის მწვანე ხიდან,  
ისევ უხმობს ეგას გველი.

1970

---

\* ევანგელი (ბერძ.) – სახარება.



\* \* \*

შეეჯიბრები ამირანს და...  
სხვა კოლხ ტიტანებს,  
თუ ვარსკვლავები  
ძირს ჩამორეკე  
და დედამიწა მაღლა –  
ცაში თუ აიტანე.

2006



\* \* \*

უამი, როგორც ცხვრის ფარას,  
სინათლის და მზის იქიო,  
ისევ ისე მიგვდენის,  
რადგან წელი ათასი,  
ისეა მის თვალებში,  
როგორც დღე –  
გუშინდელი.

2001



## မဖိတ္ထရာရေး လာ ရောက်

ရေမ လွှာနာင် လျှော်း အဲ့ခြေ လာ  
 လျှော်း ဝါးဝါး,  
 ဒုံး မတော်း – ჩိုမီ ဖို့နာပရော်း၊  
 ဗျွော်း ဒေါ်းမှု မျှော်းလဲ  
 ဗျွော်း၏။

ဘို့ပို့ရာရေး လာ ရောက် –  
 ပိုမီ ဇာမို့စရော်းလဲ လော်း၊  
 မား မား ရေမ ပေါ်ရား –  
 မမာ ဂားလဲးသဲ ဗျွော်း၏။

1979



## ოპო, ოპო!

უამს ცისძრისას ცა ქართული –  
დაიხურავს მთვარის ბოხოხს,  
ჩამოხედავს მიწას რიხით.  
და ქვეყანა მშვენიერი –  
ლიხს აქეთ და  
იქეთ ლიხის,  
შენზე იტყვის: ოპო!  
ოპო!

2008



\* \* \*

მიწა ლუსკუმია და,  
ბნელი არის მისი ცა,  
აღარ უცემს მზის გული.  
სხვისთვის ავის მოსურნე,  
შობს შურსა და  
სიძულვილს,  
ბოროტებით ორსული.

1985



100 000

ასი ათასი წელია უკვე,  
ჩემს კოლხეთში –  
ხმა რომ მოისმის  
დაფის და ბუკის,  
ჩანგის და ქნარის.

(ხანდისხან შხამიანი ისრები იწივლებენ.)  
ასი ათასი წელია უკვე,  
თავს რომ იკლავენ ებანები  
და წინწილები.

1986



\* \* \*

ცის ბინადართა მწყემსო კეთილო,  
 ადამის ძეთა სირეგვენისთვის  
     შენ ხარ ჯვარცმული  
 და ნუ შეგაპრთობს ჩემეული  
     თვალთა სისველე.  
 ლოცვით დაღლილი და დაქანცული,  
     უფალო,  
     მე შენს  
 ჩრდილქვეშ ვისვენებ.

1993



## ვიღისფიმს და რახაბის

უკვდავებას დახარბდა  
და ხმა ადარ ჩაესმის  
ევფრატის და ნილოსის:  
ფილისტიმს<sup>1</sup> და რახაბის,<sup>2</sup>  
ბაბილონს<sup>3</sup> და  
ტვირთისის.<sup>4</sup>

1968

---

1234 პრეისტორიული ქადაქები.



ALISTRU

\* \* \*

ვარსკვლავებიანი ცა –  
გახურავს, ვით ტიარა,  
და „კოლხური ფსალმუნი“  
მიტომად ასტომობს.  
და გეძახის ზესპნელი,  
მარტო პოეტს კი არა,  
ასტროლოგს და ასტრონომს.

1990



\* \* \*

ერთად რომ იყო მთაცა და ბარიც,  
შამქორს,  
მარაბდას  
დიდგორს და გარნისს,  
მტერთა სიმრავლემ მიტომ ვერ გაჭრა,  
ვერც ბასიანთან და ვერცა უბისს...  
და მომხდურისგან ნატყორცნი  
შუბის  
გაგლუჯილ –  
ჯაჭვის პერანგის მარჭვალს,  
დაატარებდა, ვით თილისმას,  
ქართველი უბით.

1964



## შემოღვევა სოფელზე

ეზოს დაპბრუნავს აჩრდილი ქორის,  
 რადგან ჩრდილები წიწილებივით,  
 მიმოუფანტავს ოქროსფრად ნიავს,  
 შავ კომშის ხეს კი  
 ჰეიდია ორი,  
 ზანგის ძუძუებივით ყვითელი ბია.

1958



\* \* \*

სიცოცხლის ყანას,  
სიმინდივით უნდა გამარგვლა,  
რადგან ედება წლები,  
ჩუმად, ვით სარეველა,  
უვიწროვდება მიმწუხრისას მზეს –  
ფართო მხრები,  
პჭვრებ დღე და დამის ჭიდილს  
და გხვდები,  
არყოფნა,  
ყოფნას, რატომ ერევა!

2001



\* \* \*

შავ და ცივ ქვაზე დავჯდები რიყის  
და ვასაკების უაზრო ყიყინს  
მოვუსმენ, როგორც ბახსა და რაველს,  
ჩემი სიცოცხლის დღეცა და დამეც –  
ოღონდ შენ მყავდე,  
ოღონდ შენ იყო.

1999



\* \* \*

გაზრდილს კოლხური მზით  
და ლეგენდით,  
ვერას დაგაკლებს დღეთა  
მარტლა,  
რადგან პოეზია – მეტი არი,  
შენ ივლი ფიქრად და  
სიყვარულად,  
არა მოგწყინდება –  
სივრცეებს შორის  
ხეტიალი.

2004



## დამწვარი პუნქტი

ქარი ზღვისკენ მილალავდა –  
გაუხედნავ ზვირთოა კვიცებს,  
ფაზისი კი დამწვარ გუნძულს –  
ხან აჩენდა,  
ხან მალავდა,  
ვითარც ამორძალი ძუძუს.

1962



\* \* \*

უფალმა სახედ თვისად,  
დიდხანს მძერწა და  
მხატა,  
ყოფნა უღმერთოდ არ მსურს  
და ვითარც ეფრემ ასურს,  
ჩემი ქართული ენა –  
მიჩანს ტაძრად და ხატად.

1960



\* \* \*

გადის წლები...  
საქართველო,  
ელის,  
ელის...  
მაგრამ დიდი დავითივით,  
არავინ ჩანს მხსნელი,  
სიბინძურებ,  
სისასტიკეს შეაწმინდა ხელი.

1992



## პირამიდები

სფინქსივით კვლავ სდუმს  
ჟამი ვერაგი,  
ამქვეყნიური სახელ-დიდების  
დაცამლეწავი და დამნაცრავი,  
თუმცა დგანან და  
პირამიდები –  
საუძუნებს მშვიდად მარცვლავენ.

1965



## ელგა და მახი

წმინდა გიორგიმ, სიმყუდროვეში  
რაში უნდა  
შემოაგელვოს,  
და ცას ზედიზედ მოწყდა ვარსკვლავი,  
ვარსკვლავი არა!  
შექმინდა და...  
ცოდნები უცებ წასკდა ანგელოსს.

1959



\* \* \*

მტკვარს საიდანდაც მოაქვს ამაყად,  
ხმები საზანდრის,  
ცეცხლი მედოლის,  
თითქოს ქაჯეთით გამოხსნილი  
მოჰყავთ ნესტანი,  
და რუსთაველზე,  
მგოსნის ფეხქვეშ  
რკინა-ბეტონის,  
მაღლა იწევა და იწონებს თავს –  
პიდესტალი.

1969



\* \* \*

ରୋଗ,

ରଖିଲେ କାରାଗାନ୍ଧା ଲାମ୍ବେସ,

ମହେମ ଫାତିମାର ଫା...

ବୀଜ -

ବୀଜିତଲେଖ ଗାନ୍ଧାଜାରା

କାନ୍ଦେଖ.

1962



\* \* \*

პონტოს ნაპირთან დამდგარ აფშილებს  
ქამთა გრიგალი და მტრის რისხეა  
                  ვეღარ აშინებთ,  
რადგან გვერდით ჰყავთ მოდგმა  
                  მარგალის,  
გარსკვლავთ შუბებით, მთვარის ფარებით  
და... ლეგენდები თავს აფარებენ  
                  კოლხეთს, —  
ზღვისკარად მბრწყინავ მარგალიტს.

1959



\* \* \*

შორს,

ღრუბლების კამეჩები  
ცის მინდორზე დამეს ძოვენ...  
იმზირება მთვარე მორცხვად  
და ვითარცა მეტოვე,  
გარსკვლავთა მტკერს ჰგების და  
ცოცხავს.

1959



## უცხო ხმა

როგორც მითებში და ლეგენდებში,  
მე გავცხადდები,  
ვითარცა ზეგსი —  
ოქროს წვიმად,  
ხარად და გედად,  
და მიუკუვები ლეტოს ან ლედას,  
რომ მოგუვლინო ტიტანი და  
გმირი სამყაროს.

1981



\* \* \*

ქარის ხელებით ნაქარგი,  
უხდება ქაფის არშია  
ნაპირს და  
მქონლავ გლისერებს.  
ზღვას არც სწყურია,  
არც შია  
და მაინც ვეღარ ისვენებს.

1961



\* \* \*

ქართველს არასოდეს არ ჰქონია  
თავზე საყრელად,  
მაგრამ, ო, ახლა,  
სიყვარული უფრო გაძვირდა,  
რომლის გაცემას სხვებისთვისაც  
არ ვიზარებდით.  
დღეს,  
მათა ნაგებ რწმენის ტაძრიდან –  
შიშს და სიძულვილს რეაგინ  
ზარები.

1993



\* \* \*

მამა-პაპათა ნასახლარს,  
 ფიქრით ათასჯერ შევუგლი  
 და თვალი დარღით მევსება:  
 სახლი — ქცეულა ნამქრებად...  
 ეზო — გაშლილი რვეული,  
 ძესრები —  
 წათლილი ფანქრები.

1959



\* \* \*

სანატრელს,

მაგრამ აუსრულებელს,

ზღვა მოჰვავს სურვილს,

სადაც ლივლივებს ვარსკვლავების —

ოქროს ტინები.

ტალღა კი არა,

ზღვად დამხრჩებალი ვიღაცის

სული,

ნაპირს,

ო. როგორ ეპოტინება.


1966



\* \* \*

მარადიულ სიჩუმეში,  
როცა იგი,  
მეც ჩამფლავს და,,,  
ჩემს დობილებს –  
ვხედავ იებს:  
მივიწყებულ ჩემს საფლავთან,  
მოწიწებით თავდახრილებს.

2001



\* \* \*

უსაზღვრო და უსამანო –  
შენ ღმერთმა ცა-გიგალობა,  
მზე იცინის...  
შენც იცინე.  
მე კი შორით, ვით წყალობას,  
ცისკრის ვარსკვლავს  
შევციცინებ.

1997



\* \* \*

ოცდაცამეტი წელიწადი  
 მიიჩქაროდა  
 ცისკენ-  
 იქ მამა ელოდა ქრისტეს.  
 მაგრამ მიწაზე არავინ იცის,  
 რად მიიჩქარის მდინარე  
 ზღვისკენ.

1986



\* \* \*

ახლო წარსულში აგივლდა ვიღაც,

ვიღაც კი არა,

დედაჩემი.

— სიკვდილმა უცებ მოსტაცა შეიძლო.

1983



\* \* \*

უფლის ხელი ურევია....

მაპატიეთ,

როგორც პოეტს,

ეს გამარჯვება „გიპონით”,

მაგრამ ქვეყნად რაც მე გპოვე,  
თქვენ ვერასოდეს

იპოვნით.

2006



## პრეზიდენტი

არგოსი<sup>1</sup> ზოგჯერ მთელ ელადას  
ეწოდებოდა”.  
პომეროსი

სიცოცხლის და სიხარულის  
ჩაუქრობელ მზით შემოსილს  
კოლხეთის ცამ მარგოს მინდა  
მე ეგრისელს –  
ძეს ეგროსის,  
მომავალს შორს-არგოსიდან.

1970

---

<sup>1</sup> არგოსი – აიეტის შეილიშვილი ფრიქსესა და ქალკიორ-ჯეს (აიეტის ქალიშვილი) – ვაჟი.



\* \* \*

არყოფნის ნისლით გადახურული,  
დღისით არა ჩანს  
მთვარის კარავი.  
მზის ამოსვლა კი მუდამ მიკვირდა.  
და მე ვისმენდი,  
და სხვა არავინ,  
სიმწვანის ბდავილს ციცქა  
კვირტიდან.

1984



\* \* \*

ცათა მიღმა წყვდიადში,  
ვიცი,  
შენ ციმციმებდი:  
(დამე კვლავ ამარტისე.)  
ოცნების ფერს,  
ფერს იმედის,  
ფიქრისა და ნატვრისფერს.

1962



\* \* \*

ფაზისის პირას ტალღა ჩურჩულით,  
არგონავტებზე ამბავს  
მიყვება,  
უკვე მეათედ!  
ნაპირზე ხტიან მთვარის ციყვები,  
ჩრდილის მელია,  
კუდს ძლივ მიათრევს.

1972



\* \* \*

გამკრთალ ელვის სატევრით,  
უამთა უდრანს მიჰკაფავ,  
წუთისოფლის დამნისლავს.  
დამით იცვამ მზის კაბას  
და დღისით კი  
მოვარისას.

1979



## ଓର୍ଯ୍ୟବାଦ କାରତ୍ୟାଳୀ

ଓଲିମ୍ପିକ୍ ମତିଫାନ୍ ଗାନ୍ଧିମହାତ୍ମାଜୀନିଙ୍କୁ,  
ହୃଦୟାଦ୍ୱାରା ଧେଖିଥାଏଇ ଫରତେବୀରେ  
ଫାତକ୍ଷମିତ,  
ଶ୍ରୀମଦ୍ ଅର୍ଥାତ୍ ରାମାନୁଗାମୀଙ୍କୁ  
ରାମାନୁଗାମୀଙ୍କୁ ଫରତେବୀରେ  
କାରତ୍ୟାଳୀ,  
ଅମ ପ୍ରଦେଶର ସାମର୍ଥ୍ୟ ଫେରାମିଥାନ୍ତେ.

1999



\* \* \*

(გარიანტი)

ვარსკვლავთა ოქროს ნისკარტით,  
პენგავენ დღეთა  
ციცრები,  
რაც ცის მინდორზე დათესეს.  
ძე-იგი გელაციცება-  
ნათელმხილველს და  
ნათელმსმენს.

2001



\* \* \*

სიცოცხლე და სიყვარული  
შენ დღეებმა გიწილადეს,  
ვითარცა პოეტ-ხეიბარს.  
და მზე ისე, ვით პილატე,  
შენს ყოფნაზე  
ხელს იძანს.

1972



\* \* \*

უფალი ოუ გამიწყრება  
და ჩემს მზერას მონისლაგს,  
უნდა ვხდიო მზესავით,  
ვითარც არეოპაგელმა:  
ხილვებს არამიწიერს,  
სიბრძნეს სოლომონისას.

2003



\* \* \*

ମାର୍ଗଦାର ପାଶ ଫାନ୍ଦେବ,  
ମ୍ରଦୁ ଧୂର୍ଗମଣିନାମ –  
ତାଙ୍କ ରମଠ ଅନ୍ଧାରୀ,  
ଫଲାକ ତମ ସାରାମନ.  
ଯା ... ଯଜ୍ଞରେ ସାରାଚ  
ଶ୍ରୀନ ଫାନ୍ଦେବ,  
ଫର୍ମଳଗାନ ନିର୍ବିଳୀ ଆମ୍ବା.

2005



\* \* \*

ვით წინასწარმეტყველი –  
ზიხარ კოშკში დოდინის,  
და დრო მოჩანს მეწყერად.  
და წამიწამ მოელი,  
სიბრძნე, როდის გეწვევა.


1960



## გააპა ზერხეულიძე

ასი კი არა, ხუთასი,  
წლის მერე ტაშისკარიდან –  
მტკვარს მოაქვს ხმა სააკაძის:  
„დავკრათ მტერს...  
ისევ დააკათ!“  
გმირი ცხრა მმა ხერხეულიძის,  
ერთ-ერთი მმაა ბააკა!

1966



\* \* \*

საწუთოს არ ხარ მძლეველი,  
მიტომ შურით დაგეხსლილთ.  
მაინც,  
კითა საარი:  
სერაფიმთა,  
ქურუბიმთა,  
ანგელოზთა ხმა გეხმის.

1969



\* \* \*

ჯერ არ ისმის ხმა კადმოსის<sup>1</sup>,  
 ლიმნოსის<sup>2</sup> გზას მიუყვება –  
 ვარსკვლავებით მოთესილს<sup>2</sup>  
 პრონაპიდე,<sup>3</sup>  
 თიმოიტე,<sup>4</sup>  
 თამარისი,<sup>5</sup>  
 ორფევსი.<sup>6</sup>

1963

---

<sup>1</sup> კადმოსი – ფინიკიურ ანბანზე დაყრდნობით ელინელების და მწერლობის შემქმნელი, (ლიმნოსის მკვდელი)  
<sup>2</sup> ლიმნოსი – პელაზგური დამწერლობის შემქმნელი  
<sup>3,4,5,6</sup> – პომეროსის (ჩვ.წ.-აღ. VIII ს.) წინარე პოეტები.



\* \* \*

ქაფისგან შობილს,  
გაზრდილს ზღვისკარად,  
არყოფნის ქარი  
თავს გევლება  
და გილამუნებს...  
შენ რომ მოკვდები,  
მერე შენსაგით,  
კვ,  
ვინდა შეთხმავს  
„კოლხურ ფსალმუნებს!“

2007



\* \* \*

მოულოდნელად ცაზე ელვამ  
 გადაირბინა  
 და თეორ ღრუბლებს ეცვალათ მხარი.  
 ცრემლი ჩაედგათ ყომრალ  
 თვალებში.  
 მთვარე კი მოჰვავს ქაღალდის ნავს,  
 რომელსაც ქარი,  
 მიაქროლებს ცის ოკეანეში.

1978



## შენ მოთი ხარ მეუზე

მათ საქმეებს “საგმიროს”,  
ჟამი განსჯის პირქუში,  
შენს დიდ პოეზიაზე! –  
ცოდვა – ბრალს რომ იდებენ,  
მთვარის თეთრი ჩოხით და  
მზის ოქროსფერ სამხრეთი,  
შენ ერთი ხარ მეუზე –  
ქვეყნის კიდით-კიდემდე,  
აღმოსავლით, დასავლით,  
წრდილოსა და სამხრეთის.

2001



## 01 დღე

ქალწულ მარიამს  
 ვით ყრმა იესო,  
 ისე,  
 მზე დილას პყავს შეფუთვნილი,  
 თუმც ღამეები აღარ იღევა,  
 და სადღაც,  
 ის დღე – შენი,  
 კუთვნილი,  
 კვლავ გელოდება სულის მიღევით.

2004



## ბრაზაციები

ნათლის ფრთების შრიალით –  
მოვლენ დამეები და  
შენს მზეს –  
წყვდიადს მისცემენ,  
ამის გაფიქრებაც კი მკათათვეში  
გაციებს,  
მიტომ ეჭვით შესცექრი –  
გარინდებულ სიგრცეებს,  
ვარსკვლავთ თანმიმდევრობას  
და დღეთა გრადაციებს.<sup>1</sup>

2000

---

<sup>1</sup> გრადაციები (ლათ.) თანდათანობა.



\*\*\*

რბევად მოვარდნილ

ზვირთთა ჩოჩქოლში,

აფრის ტკაცუნი მესმა

ლაზების,

რომელიც კიდევ ერთხელ მავალებს,

რომ მივატოვო ცის დარბაზები

და აღვაშენო “ქვეყანა”

ზღვაზე მრავალი.

1956



\*\*\*

სულ სხვა არის ცა –  
კოლხეთის,  
ელვის წენელით  
მოღობილი,  
ღმერთ-კაც ამირანის ცეცხლი,  
მეგრულ ფაცხის –  
შუაკერასთან,  
ბუდობს –  
კოლხურ ხოხობივით.

1960



## მოსე

დვთაებრივი მხატვრის ფუნქცი,  
 გედარ ძღება —  
 მისი ქებით,  
 თუმცა სხვებმაც მზით შემოსეს,  
 ბიბლიური ნახეთ მოსე,  
 ნათლის სვეტის —  
 ადგას რქები.

1968



## შემოდგომა სამხატელოში

ოქროს კბილა ტაროები,  
მაღაზას თუ მეგრულ ბეღელს,  
სიელვარით ხდიან მდიდრულს,  
ადვიძებენ ჩიტუნები –  
პირდაფჩენილ ჩაფლა ლეღვებს –  
ტოტებზე მსხდართ  
და ბრძენივით თავჩაქინდრულთ.

1960



## არგონავტები

(არგოს მარშრუტი)

ეგეოსის ზღვის კუნძული ევბეა და  
იოლკოსი,  
და სრუტე დარდანელის,  
მიდის არგო და სვლას არ ანელებს,  
ყალყზე დგება თუმც ზღვა –  
მარმარილოსი,  
წინ ახვედრებს მარგალიტით მოქსოვილ  
დელვას – სრუტე ბოსფორის,  
ირგვლივ დუღს ჯოჯოხეთი,  
ორფეოსის ხმა ქარიშხალს ამშვიდებს,  
არგონავტთა დუმს ფარ-შუბი და  
მშვილდი,  
შორით მოსჩანს პონტოს ზღვა  
და კოლხეთი.

1988

## სამყარო პოსმიზრი

ცის და მიწის საზღვართან  
მდგარს,  
მწამს, დაგაგვიანდა —  
იქ — სადაც მზე იურვის,  
სადაც გიხმობს ნიადაგ,  
სამყარო კოსმიური.

1997



## ნოსტრადამუსი

მთები —

ხორცია დედამიწის,

მყინვარები კი —

ძვლებია თეთრი,

ჟამთა ნამუსრი,

გზე —

ხელუხლებელი —

არის ჩვენი

სინდის-ნამუსი,

მას ასე ხედავს და ასე ბჭობს

ნოსტრადამუსი.

1969



\*\*\*

ხედავთ?

ჩემმა დღეებმა,  
შურის ძუკნა ძაღლები  
როგორ შემომისიეს,  
რა ვუყოთ, რომ ვერ მცნობენ,  
მიწიერნი,  
ცისიერს.

2004



## სული კავშირის

/გალაკტიონს/

გარდასულ ჟამთან ბრძოლით დაღლილი,

შენ გეძახოდა სული –

კაეჭნის,

მითი კოლხური და რომაული,

და...

შენ მიწაზე უხმოდ დაეჭვი,

მაგრამ აფრინდი ცაში ხმაურით.

1959



## მონაღირე

დაუმიზნა როცა თოფი ნადირს,  
ტყე გარინდდა,  
უსწრაფესად ქორის,  
ცას ახედა მძინარს,  
სისხამ დილით  
დააბრმავა შუქმა:  
ნახა მნათთა შორის –  
როგორ გაჟყვა ქრისტე ელგის  
ბილიკს.

1968



## სიყვარულის კვირიონებს

წყვდიადიდან ამოსული —  
მზე კოლხური  
და ქართული,  
გზას შორეულს გიოოლებს,  
ცად აყავხარ ფრთის  
ფათქუნით,  
სიყვარულის კვირიონებს.

1970



\*\*\*

მთებია მიწის ბოდმა და დარდი,

ცა —

ზღვა არის და

იქ ვარსკვლავები —

მიმოყრილია ოქროს ქვიშად და

მოლუსკებად,

მთვარე ამიტომ შუბლს იკრაგს და

არის ნაწყენი,

ვულკანი არა! —

ეს, მთებს შიშით გული უსკდებათ,

მიწის პირიდან —

სისხლის ლავას როცა

არწყევენ.

1959



## პირველი სიყვარული

“მე, ერთს ვტვრებ ორსავ სოფელში”.

ჯალალ-ედ-დინ რუმი.

ცხადია თუ ფარული —  
ჩემთვის ორივ ერთია  
შუაზე არ იყოფა,  
პირველი სიყვარული,  
ამ სოფლად და იმ სოფლად.

1961



## გათხვება

არა ჩანს,

მაგრამ ღრუბლებში  
კროის ნათლის ჩრდილი ცახცახა,  
ზღვას ქარი აღარ მოურჩა,  
მთაზე ნისლი არ იღევა...  
დაუბჩენია ცას ხახა,  
და მკვდარს აქა-იქ მოუჩანს –  
ვარსკვლავთა თქროს კბილები.

1964



## ბანათდა პელი

დიდი ხნის მერე,  
“იქმნა ნათელი!”

განათდა ბნელი  
და სიხარულის –  
ცრემლი სდის თვალებს და მომქუსარებს,  
და სიკვდილივით მუდამ ფარული,  
ბედნიერებით – შენ ხარ მწუხარე.

2001



## სხვა პრაცერი

ზღვა –

ეს ცხოვრება

და ჩვენი დღეები –

ღელვაში გადიან –

გაშლილი აფრებით,

სიცოცხლე –

სიკვდილის თანამდევი ლანდია,

სხვა არაფერი.

1986



## მისმა და...

მიყვარხარ!  
 და როცა წასვლას დაბპირებ,  
     გაიფურჩქნებიან –  
 არყოფნის იარები,  
 ცრემლებს ჩამოყრიან ფოთლებად  
     შინდები,  
 როგორც სიცოცხლეში,  
     ნუღარ შეშინდები,  
     მიხმე და...  
 სიკვდილშიც შეგეზიარები.

2000



\*\*\*

მნათთა კრამიტით დახურულ –  
განთიადს ჭერი ახადა,  
მეხის ნატყორცნმა –  
ელგის გზაშ.  
მთოვარის ყალმით ცა ხატავს –  
ზღვისა და ქარის პეტაჟს.

1989



\*\*\*

რადგან სიკვდილი ყოველთვის,  
ვით რაინდს, ფეხზე მეკიდა,  
და სული ცისპენ მზირალი,  
მსურს სიყვარულში ამომხდეს.  
და ყოფნის ჯოჯოხეთიდან –  
მოხვდე არყოფნის –  
სამოთხეს.

2000



## სოზმი – 92

თარს კი არა,  
შენს წუხილს,  
ჩამოჰკარი მიზრაფი,<sup>1</sup>  
ერთ საფლავში სამი წევს.  
შენ კი სადღაც ისწრაფვი,  
გულო! –  
მართლა სამიწევ!

1992

---

<sup>1</sup> მიზრაფი – თხელი ფირფიტა თარის დასაკრავი



## გაბილონს, მისრეთს და ასურეთს

მოდგმამ კოლხების და ლაზების –

გზა განვლო ტანჯვის და

წამების,

სანამ ბაბილონს,

მისრეთს და ასურეთს,

წმინდა და კეთილმა მამებმა,

ქრისტეს რწმენა და მირონი ასხურეს.

1979



\*\*\*

წარსულ დროთა –  
ცის ჭახთან,  
მოჩანს მთვარის ბერკეტი.  
პონტოს სანაპიროზე  
ვხედავ მტერთა მთიბავებს:  
ხალიბებს და კერკეტებს,  
თუბალ-თაბალ-  
თიბალებს.<sup>1</sup>

1980

---

<sup>1</sup> პროტოქართველური ტომები.



\*\*\*

ვეცოდებით!

მიტომაა,

დაგვცერს ცა თვალ-ნამიანი...

აბა, რა დასამალია,

რომ სიცოცხლე შხამი არი,

და სიკვდილი წამალია.

2005



## ახსოვი

ჩვენი დიდი წინაპრების,  
ახსოვთ ლოცვა წარმართული:  
ფაზისს, ღელებს,  
ხობოსს, ღელებს.  
ამ რეს.  
და... კითხულობს ცა ქართული,  
გადამფრენი წეროების –  
ასომთავრულს.

1958

## აცტეკებს, მაიას და ინკებს

გეძახი ატლანტის<sup>1</sup> და ჰელიოსის,<sup>2</sup>

მითიურ კოლხელთა

გვარ-სახელს.

წარსული ზღვად და არასდროს

დაიკლებს,

ამიტომ ჩემს წიგნში ვასახლებ:

აცტეკებს,

მაიას და ინკებს.

1987

<sup>1</sup> ატლანტის და ჰელიოსის მამები – პიპერიონი და იაპე-ტი ძმებია.

<sup>2</sup> ჰელიოსი – კოლხელთის მითიური მეფის – აიეტის მამაა.



## გამეყ დაღიანი

შვიდი საუკუნის მერეც,  
ახსოვს ცხუმსაც  
და აფხაზეთს,  
როგორც “მეფე” და “პოეტი”.  
აღმოსავლით —  
ცხენისწყალით,  
დასავლით კი —  
კაპოეტით.<sup>1</sup>

1969

---

<sup>1</sup> კაპოეტი — მდინარე ბზიფის უძველესი სახელი



\*\*\*

მზე ჩადის...

და დასალიერთან –

მოისმის არყოფნის საარი.

ქარები სხივებს ანანავებენ.

სასაფლაო კი –

წარსულის ზღვა არი

და ყრია ლოდები –

სიკვდილის ნაგები.

1978



## პოლეონის გემები

ვერც სიზმარში და ვერც ცხადში,  
უკოლხეთოდ,  
რა ვქნა, ვერ ვძლებ.  
დამით ლაზურ აფრებს გავშლი  
და ბობოქარ ჟამთა ზღვაში –  
ვუხმობ გატაცებულ ვერძებს  
მე დავგარგე აიეტის კოლხეთი და  
იმას ვეძებ.

1960



## ხობოსი

აკივლდებიან ტყეში ჭოტები,  
 ბრმა თვალებიდან –  
     შიშს და ღამეს  
     ერთად კვესავენ,  
 როს პარას ჭალას დავიწყების  
 ნისლი დაბინდავს.  
 ხოლო შორს, სადღაც,  
     მზით შებოლილ  
     მთვარის ქვაბიდან,  
 შუქი გადმოდის მდუღარ რძესავით.

1970



## სიკვდილის ქალაქი

არყოფნის ციდან ჩამოსულებს,  
მიწა მოზომილი აქვთ არშინებით,  
აქ წევს მაკრინეც და მალაქიაც.  
ქვებით და ლოდებით ნაშენები  
სასაფლაო —  
სიკვდილის ქალაქია.

1964



## 3001200 საა რამზეს მეორის

შორ წარსულიდან მოაქვს ქარიშხალს,  
 კოლხ წინაპართა უხმო გოდება  
 და დიუნები მას იმეორებს  
 სიჩუმის ნაპირს ზღვა კვლავ ანგრევს  
 ზვირთთა ლოდებით,  
 კითარცა ფაზისს გელური სპა  
 რამზეს მეორის.

1974



## მე ორდის ბამიღიმებას

სადღაც ჯოჯოხეთია,  
მესმის კუპრის დუღილი...  
ის კი სულ სხვებს უდიმის.  
მე ორდის გამიღიმებს,  
წამით აქ შემორბენილს,  
წარმავლობით –  
მიღმიერს.

2002



## იაპეტს და ჰიპერიონს

შორი ათასწლეულები –  
ლეგენდების უფენს ფარჩებს.  
სადაც უნდათ,  
იქ ერიონ.  
კოლხეთის ცა მაინც არჩევს:  
იაპეტს<sup>1</sup> და  
ჰიპერიონს.<sup>2</sup>

1989

---

<sup>1 2</sup> ჰიპერიონი – ჰელიოსის, ისინი ძმები არიან.



\*\*\*

აღმოსავლით მავალ გარსკვლავთა,  
მოისმის ხმა დაფდაფების,  
ჰორები ისევ აღებენ

ცას —

ნაქსოვს ელვის ძაფებით  
და წვიმის ყაისნაღებით.

1979



## როგორც ყარაჩოლები

რადგან ქვეყნად მოხვედი,  
როგორც ყარაჩოლები,  
არც არავის მონებდი,  
არც არავის ემონე,  
მაგრამ მაინც ცხოვრება,  
ვეღარ დაიგემოვნე.

2001



## თანაფა<sup>1</sup>

ჩემი სიტყვა ძველ ქართული,  
აი, ახლაც მთავარია,  
მახვილს მოჰგავს ალესილს.  
თა – მზე არის,  
ნა – მთვარეა,  
ფა – კი უზენაესი.

1977

---

<sup>1</sup> თანაფა – აღდგომა (მეგრ.)



## ზღვა და პოეზი

სამოთხის დატოვებისთვის,  
სამაგიერო მიუზღვას,  
არც ადამი ჩანს,  
არც ევა.  
ღმერთი არ მისცემს პოეზის,  
ზღვას –  
შავ ყბაში გამოსამწყვდევად.

2000



## ოქროსფერი ფსალმუნები

ვით ათონელ მწიგნობარებს  
წამით აღარ გქონდა მოცლა,  
მაინც “ოქროს ფსალმუნები” –  
აღუვლინე ცაში ლოცვად  
ძველ და...  
“ოქრომრავალ კოლხეთს”.

1984



800

მიინავლა რვაასი —

წელი,

რაც რუსთაველმა

ცისქვეშ ააგიზგიზა

სიყვარულის კოცონი!

შენც შოთასგან იწყები

და მის ცეცხლს ეფიცხები,

ამავი...

თავმომწონე...

1968



## ერთგულება

სიკეთეს არაფერს ელი!

პირიქით —

ჯვარცმას და

ლურსმნებს,

რადგან შენ მარჯვენა ხელი,

სამშობლოს მაჯაზე გიდევს

და მის გულისცემას უსმენ!

1969



## გარსპოლავების ქვებით ნაგებს

შორს,

ღრუბლებით გაჭვარტლული,  
დამეული ჩანს ბუხრები.  
და ცას მთვარის უთროის ბაგე,  
რადგან მეხი ემუქრება –  
გარსპოლავების ქვებით ნაგებს.

1959



\*\*\*

სიყვარულის პომილიებს,

შენ სიძულვილს ნუ დაურთავ,

ვით საამო წუთებს ტანჯვის.

შენც, ვით ქრისტე,

ნუღარ განსჯი:

ბოროტა და

უმაღლერთა.

1978



## ორი ღრმასი

შორს მიძავალს მოგეწევა –  
წყევლა-კრულვა ბოროტ  
ღმერთთა,  
ახლა არა!  
ალბათ მერე,  
შეეყრები სადღაც ერთად:  
მიწიერ და  
ციურ გრეს.

1970



\*\*\*

წარსულიდან მოტანილს –

პონტო,

სანაპიროზე

აფენს ტალღებს, ვით კვირბებს.

შენ გსურს უფლის იადგარს,

იდუმალად მიადგა

“სათნოებათა კიბე” (იოანე პეტრიშვილი).

1966



## ოქროს ფსალმურები

დრო,

ბალახზე უფრო დაბალს,  
სიმაღლეში, ცალ, მცდიდა.  
და... ეს “ოქროს ფსალმუნები”,  
შექმნილია არაფრისგან,  
ვით სამყარო – ქაოსიდან.

1989



## ასტლეულები

არავინ უწყის, საიდან მოდიან  
და ან სად მიდიან –  
ხელებ მაღლა აწეულები.  
ბრძოლით დაღლილი –  
ასწლეულები.

1963



## ମହିଳା ଏବଂ ମନୀକାରୀଙ୍କ ସାହିତ୍ୟରେ

ବାନ୍ଦ ଫଲ୍ଗୁ ପାଦାଳୋଲି  
ଏବଂ ବାନ୍ଦାଚ - ଫଲ୍ଗୁ,  
ପାଶ ମହୀ ଏବଂ ମନୀକାରୀ  
ଶୁକାଶୀ -  
ବେଳୀରେ ସାହିତ୍ୟରେ  
ଏବଂ ଶେନୀ ଶୋଭାପାଦ -  
ପାଶ ସାମ୍ବାଜାଗରୋଥୀ  
ଅତାଶ୍ଵରାଜା ପାଦାଳୋଲି.

1964



\*\*\*

დღე – ყოველი იდუმალ,  
არყოფნის ცას გახურავს,  
გიკლავს სიცოცხლის წყურვილს,  
არ ჩანს “ლამის მსახური”,  
შავი და უსახური,  
რომ მიწიერს მოგოთხოვთ,  
ცის ბინადარი სული.

1985



\*\*\*

ამ ცისქვეშეთში –

შენც გყავს მოცილე,  
ვითარც ქრისტეს!

და მიტომ ტანზე ნათელი გეცვას!  
სულ მუდამ ასე ნათლითმოსილი,  
“ხვიდოდე ტაძრად,  
ვითარცა ზეცად” (წმინდა  
ნილოს სინელი).

1969



\*\*\*

ქაოსიდან ამოსული,  
ირეოდა მზეთა მუმლი,  
სამყაროს აალებდნენ...  
შენ გახსენი საიდუმლო –  
ჟამთა იდუმალების.

1960



## როგორც ვარდი შირაზის

რბიან საუკუნენი –  
გადადიან ყირაზე...  
მაგრამ შენი სტრიქონი,  
ფაზისისპირ ყვავილობს,  
როგორც ვარდი შირაზის  
ანდა იერიქონის.

1968



## ჭიბეთი – ამირანი

(ვარიანტი)

ანგელოზების ისმის გალობა,  
და მნათობების შორი არია,  
რომლებიც დამეს თეთრად ათევენ...  
არა ჩანს ზეგსი,  
ცათა მსაჯული.  
და შენი წიგნი – “იქმენ ნათელი”!  
წიგნი კი არა,  
ამირანია,  
თვალშეუდგამი პოეზიის კლდეს  
მიჯაჭვული.

1993



\*\*\*

ათასწლეულების იქით,  
ფაზისისპირ წუხს ფარული,  
ლეგენდა კოლხი ასულის –  
იგავური სიყვარულის,  
მზის –  
ოქროსბუჭედდასმული.

1969



\*\*\*

ასი ათასწლეულის –  
იქით, ბნელში ალდება:  
კოლხეთი და ეგვიპტე –  
(სიტყვა ასჯერ მეტს იტევს)  
შუმერი და  
ქალდეა!

1969



\*\*\*

მიმწერისას ისევ ისე,  
ესიტყვები დუმილით –  
ადრე გარდაცვლილთა სულებს  
(რომელთა გზა დაასრულეს),  
მლოცველ მედიუმივით.

1966



## პომა და ჰამოა

უხილავის ხელით კი  
გიღაც ცის ხეს  
გვლავ ბერტყავს,  
ზღვაში ცვივა მთიები...  
პოი, რა საღამოა!  
და შენ კოლხურ ჰავას სვამ,  
კით ჰომას<sup>1</sup> და  
ჰამოას<sup>1</sup>.

1961

---


<sup>1</sup> უკვდავების სახმელები.



## გაბრძოვება და გამოპრემიერა

ხორცის არა,  
მარადიულ  
სულის დიად მშვენებაზე,  
მიყვებოდა ამოდ დედა,  
რომ მზე არის,  
სულის ცეცხლით –  
გაბრძნობა და გამოპრემიერა.

2009



## ბროჭეულის ხე

ორმოცდასამი...

სტალინგრადი...

გელოზიები ძმები:

ბონდო, კოკი და

ბურდა

(რომელთ ეძახდა ხალხი იღბლიანს).

იმათ ჭიშკართან

ბროწეული იდგა

პირლია,

ნეტავ ვიცოდე, რისი თქმა სურდა!

1954



## დევის ნამუხლარი

შენი ლექსის გაელვება,  
 მთას უხარის,  
 ბარს უხარის,  
 რადგან საქართველოს შვენის,  
 სიტყვა შენი,  
 საქმე შენი,  
 საუკუნის მკერდზე მოჩანს,  
 კითარც დევის ნამუხლარი.

1993



## ხილვა: 0ზღაპრი, პესარი (I ს)

ჰურიათა წარსულიდან,  
ჩუმად ქონავს ხმა მწუხარე  
და ძირს ცვივა ფიფქებად:  
- ოუდეა,  
კესარია,  
რომაელთა ვასალები დღეს არიან,  
მაგრამ ხვალ არ იქნება!

1959



## ხილვა: იმსო ქრისტე და იოანე ნათლისმცემელი

ისმის კვნესა და გოდება,  
 ირგვლივ ცოდვის დგას მორევი...  
 შოლტით ცემენ და ორივეს –  
 (ნათლულსა და ნათესავებს)  
 წარმართ ღმერთებს აფიცებენ:  
 ქრისტესა და  
 იოანე ნათლისმცემელს.

1962



## სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
*** წელამდე თოვლში	25
მესიანელები	26
ხილვა: იოანე ლაზი	27
ტყეში	28
აუნაკი	29
სოკრატე	30
თეატრონი	31
ეპვატორი	32
ხილვა: საოცრება	33
* * * თუმცა მცოდნე ვარ	34
ხილვა: კასიტები	35
თბილისი	36
კრისტონი და კრისტობულე	37
ეპილოგი	38
ო, იტალია	39
სული	40
სამი იოანე	41
სენტენცია	42
ქართველებო!	43
რიბი-რაბო	44

პლატონი.....	45
ჩრდილო პოლუსზე .....	46
100 – ტომეული.....	47
სიღნადი, დარჩელი.....	48
ვარსვკლავები – წინაპართა სულები ...	49
გლეტჩერები .....	50
პითია .....	51
ჩემი კოლხეთი .....	52
ცად ადის ლოცვა.....	53
ზღვაზე.....	54
სამშობლო ჩემო.....	55
ბრილის სამარხები.....	56
მეტეორები .....	57
უკვდავების წყალი.....	58
შენ ხარ ძველი კოლხეთი.....	59
იუდას ნაამბორევი .....	60
* * * ასი ათასწლეულია.....	61
მწვერვალები.....	62
ხილვა: არსენ იყალთოელი.....	63
მიყვარხარ და... .....	64
ფიქრები .....	65
ძახილი .....	66
ცარიელი ჭურჭელი.....	67

აჯა	68
მაისი	69
პოსეიდონსა და ტიროს	70
ხარება	71
სოკრატე და ისოკრატე	72
ეზოტერიკული	73
კოლხები, მესხები	74
სული, გონება, ფრთხები	75
ლილე, ვოისა, ვარადა	77
„აი ია“, „აია“ – კოლხეთი	78
სოკრატე, პლატონი	79
ხილვა: ლეონტი მროველი (XI ს.)	80
სვეტიცხოველში	81
ამირანი და სეფედავლე	82
*** მამა-მშობელმან არ მიმატოვოს, ვითარცა წინათ...	83
*** მიღმა შვიდი-რვა ათასწლეულის, სივრცეს ადამის გმინვა	84
*** ბაბილონის გოდოლს აგებ	85
გა, გაცი და ზადენი	86
კაპადოკიაში	87
*** სულიწმინდის მონაბერი	88
*** ქართული სიტყვის დიდების	89

გარდა შენ და ფაზისის .....	90
*** როცა გავა „ორმოცი“ .....	91
*** აიეტივით შენ ხარ მზის შვილი.....	92
ვარსკვლავები – იდიოგრამები .....	93
მიქელსა და გაბრიელს .....	94
სარგონ მეფე.....	95
*** ოუკი ვსდიეთ ოქმულებებს .....	96
*** მეხის დახნულ ცის მინდორზე.....	97
ქალდებსა და იბერებს .....	98
ზადენი და არმაზი .....	99
*** ახალნაყარი სკებივით .....	100
*** უკვდავების მდომელმა .....	101
*** ვარსკვლავების სიშორე .....	102
პიპათია.....	103
*** მოებით ხელ-ფეხ შეკრული .....	104
*** მეორმოცეს ისარს უწვდენ .....	105
მითრა .....	106
ქართული სული.....	107
*** ვერ იტანდა იესო .....	108
სემირადის და მედეას ბაღები .....	109
*** ცხოვრება აყალოთია ნაგები .....	111
*** ვარსკვლავები როდესაც .....	112
შემიწყალე, იესუ ჩემო .....	113

ხილვა: ალბანეთი, V საუკუნე	114
გათენება	115
ლესბოსელებს და ცისფერებს	116
*** წამით მზერას არ აშორებს	117
სიბილა	118
*** ათასწლეულებთან ბრძოლით	119
*** არა ასურელები	120
პელტებსა და ბერბერებს	121
არ ჩანს მოსე	122
ჰურიებმა ურიდან	123
*** რაღგანაც მოვედი	124
* * * ელვა მიწას თვალს ჩაუკრავს	125
მზე კოლხეთში აღმოხდა	126
* * * დარდით გადახურული	127
* * * ქარიშხლით მთვრალი	128
ჰუნები	129
ყულევთან	130
* * * სამშობლო მზეა ამომავალი	131
ჯგუბე	132
* * * მზე, როცა მიმწუხერს	133
* * * არ დაუდვია თავი ბალიშზე	134
* * * პონტოს ზვირთთა	135
* * * შეეჯიბრები ამირანს და	136

* * *	շամի, Ռոցորշը Աեցրու գարաս....	137
	մթյարո դա Ռոնին .....	138
	ռքո, ռքո! .....	139
* * *	մո՞վա լոյսէցնիօ դա .....	140
	100 000 .....	141
* * *	ցուս ծոճարտա միջյմիու.....	142
	ցոլուսիոմիս դա Րաեածու.....	143
* * *	զարևշաղացնիօնու ցա .....	144
* * *	յրտագ Ռոմ ոյտ .....	145
	Շեմուցըմա Տոֆյելմի .....	146
	Տուուցելուս յանաս .....	147
* * *	մազ դա Կոչ մեծոյ ճաշճացնիօ.....	148
* * *	Ճաթրճուց կոլեշըրո մթուտ.....	149
	ճամիշարո կշնծուց .....	150
* * *	շոյալմա Տաեց տցուսաց .....	151
* * *	Ճաճուս Բլյեծո .....	152
	Ճորամուցնիօ .....	153
	յլցա դա մյեօ .....	154
* * *	մթյարև Տաօդանճաց .....	155
* * *	ճճյ, Ռուս օքարացճա ճամյես.....	156
* * *	Ճոնքուս նաճորտան .....	157
* * *	Ճորժ, ճրշնձլյեծուս կամյիյեծո .....	158
	շցեռ եթօ .....	159

* * *	ქარის ხელებით ნაქარგი	160
* * *	ქართველს არასოდეს	161
* * *	მამა-პაპათა ნასახლარს	162
* * *	სანატრელს	163
* * *	მარადიულ სიჩუმეში	164
* * *	უსაზღვრო და უსამანო	165
* * *	ოცდაცამეტი წელიწადი	166
* * *	ახლო წარსულში	167
* * *	უფლის ხელი ურევია	168
	არგოსიდან	169
* * *	არყოფნის ნისლით	170
* * *	ცათა მიღმა წყვდიადში	171
* * *	ფაზისის პირას ტალღა	172
* * *	გამკრთალ ელვის სატევრით	173
	ფრთები ქართული	174
* * *	ვარსკვლავთა ოქროს	175
* * *	სიცოცხლე და სიყვარული	176
* * *	უფალი თუ გამიწყრება	177
* * *	მარადიულ ცას დაეძებ	178
* * *	ვით წინასწარმეტყველი	179
	ბააკა ხერხეულიძე	180
* * *	საწუთოროს არ ხარ მძღვანელი	181
* * *	ჯერ არ ისმის ხმა კადმოსის	182

* * *	ქაფისგან შობილს	183
* * *	მოულოდნელად ცაზე ელვამ	184
შენ	ერთი ხარ მეუფე	185
ის დღე		186
გრადაციები		187
***	რბევად მოვარდნილ	188
***	სულ სხვა არის ცა	189
მ ო ს ე		190
შემოდგომა	სამეგრელოში	191
არგონავტები		192
სამყარო	კოსმიური	193
ნოსტრადამუსი		194
***	ხედავთ?	195
სული	კაეშნის	196
მონადირე		197
სიყვარულის	კვირიონებს	198
***	მოებია მიწის ბოდმა	199
პირველი	სიყვარული	200
გათენება		201
განათლა	ბნელი	202
სხვა	არაფერი	203
მიხმე	და	204
***	მნათთა კრამიტით დახურულ	205

*** რადგან სიკვდილი ყოველთვის.....	206
სოხუმი – 92 .....	207
ბაბილონს, მისრეთს და ასურეთს .....	208
*** წარსულ დროთა .....	209
*** ვეცოდებით!.....	210
ახსოვთ .....	211
აცტეკებს, მაიას და ინკებს.....	212
ვამეყ დადიანი .....	213
*** მზე ჩადის.....	214
კოლხეთს ვეძებ .....	215
ხობოსი.....	216
სიკვდილის ქალაქი .....	217
ვითარც სპა რამზეს მეორის .....	218
მე როდის გამიღიმებს.....	219
იაპეტს და ჰიპერიონს.....	220
*** აღმოსავლით .....	221
როგორც ყარახოდელი.....	222
თანაფა.....	223
ზღვა და პოეტი .....	224
ოქროსფერი ფსალმუნები.....	225
800 .....	226
ერთგულება .....	227
ვარსკვლავების ქვებით ნაგებს.....	228

*** სიყვარულის პომილიებს.....	229
ორი ერესი.....	230
*** წარსულიდან მოტანილს .....	231
ოქროს ფსალმუნები .....	232
ასწლეულები .....	233
მზის და მთვარის სასწორი .....	234
*** დღე – ყოველი იდუმალ .....	235
*** ამ ცისქვეშეთში.....	236
*** ქაოსიდან ამოსული .....	237
როგორც ვარდი შირაზის .....	238
წიგნი – ამირანი.....	239
*** ათასწლეულების იქით .....	240
*** ასი ათასწლეულის .....	241
*** მიმწუხრისას ისევ ისე .....	242
პომა და პამო .....	243
გაბრძნობა და გამობრძმედა.....	244
ბროწეულის ხე .....	245
დევის ნამუხლარი .....	246
ხილვა: იუდეა, კესარია (I ს) .....	247
ხილვა: იესო ქრისტე და იოანე	
ნათლისმცემელი .....	248

Հ Ա Ր Ա Վ Ո Ւ Թ

"Հայոց պատմության 100-րդ հազարամյակի մասին, Խաչունի և Առաքելական մատուցությունների մասին, Հայոց պատմության 3-րդ հազարամյակի մասին և այլ հայտնի գործությունների մասին" Հ Ա Ր Ա Վ Ո Ւ Թ

Հայոց պատմության 3-րդ հազարամյակի մասին, Հայոց պատմության 3-րդ հազարամյակի մասին և այլ հայտնի գործությունների մասին, Հ Ա Ր Ա Վ Ո Ւ Թ

Հ Ա Ր Ա Վ Ո Ւ Թ



2020 թ.

ვაჟა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 92

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 92

- |                     |                            |
|---------------------|----------------------------|
| გამომცემლობის       |                            |
| რედაქტორი           | – გ080 სიხარულიძე          |
| მხატვარი            | – სპართაკ ციცაძემ          |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე          |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე             |
| კორექტორი           | – ნ069 რეზიაშვილი          |
| კომპიუტერული        |                            |
| უზრუნველყოფა        | – ნანა და დათო ყადეაშვილეა |
| გამომცემელი         | – ვაჟა დოლგაია (უმცობესი)  |

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com